# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№118 (9798) 2024 წლის 16 ოქტომბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


ჯუმბერ სარდლიშვილი

## ღირებულებათა სიყალბე

თუ დამოუკიდებლობა თავისუფლებაა, გამოდის, რომ ყველა ლიბერალი მოკლებულია თავისუფლებას, რადგან იდეოლოგიური რწმენისა და წარმოდგენების ტყვეობაში არიან და დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნიათ, მეტიც, იდეოლოგიური ადამიანი ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი.



6–7

ბიძინა ივანიშვილი:

## გაუმარჯოს სამეგრელოსა და სვანეთს!

**გუშინ, 15 ოქტომბერს „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო შეხვედრა ზუგდიდში გაიმართა.**

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა და შეხვედრას მოდერატორობდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი.**

ტრადიციისამებრ, შეხვედრაზე გამოვიდნენ პარტიის ლიდერები **ირაკლი ღარიბაშვილი,** პარტიის თავმჯდომარე; **მამუკა მდინარაძე,** საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი; **კახა კალაძე,** თბილისის მერი და პარტიის გენერალური მდივანი; **შალვა პაპუაშვილი,** პარლამენტის თავმჯდომარე; **ირაკლი კობახიძე,** პრემიერ-მინისტრი; **ბიძინა ივანიშვილი,** პარტიის საპატიო თავმჯდომარე.

იხ. მე-2 გვ.

## იმედგაცრუება ცხოვრების შემადგენელი ნაწილია...

3–4



### სისულელეს ფსიქოლოგია არა აქვს!



9

## ახალი ილორი — თბილისის ცენტრში

### ქართველთა და აფხაზთა ურთიერთშენდობის სასულიერო კერა!

თაფლაკვერით და მათრახით



4–5

## „მერყევთა" და „გაბრაზებულთა" არჩევანი

## ისრაელი: იდეოლოგიასთან ბრძოლა სამხედრო მეთოდებით არ გამოდის

8




ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურში საქართველოს ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ჩრდილოეთ მაკედონია 2:1 დაამარცხა, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და პლეი-ოფის საგზური მოიპოვა. გილოცავთ!

ვინ ვინ არის?!

## ქართველ ქალებს სალომემ ცუდი ამბავი დაგვმართა...



5

გრიგოლ ორბელიანი — 220



## „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!"

12

# ბიძინა ივანიშვილი: გაუმარჯოს სამეგრელოსა და სვანეთს! სრულიად საქართველოს!

**„მოგესალმებით ჩემო მეგრელებო და ჩემო სვანებო!**

დიდი სიყვარულითა და განსაკუთრებული მონატრებით მივესალმები ენგურს მიღმა მცხოვრებ ჩვენს აფხაზ დებსა და ძმებს. მჯერა, რომ დადგება დრო, როდესაც ერთიან, ძლიერ საქართველოში, სოხუმსა და ცხინვალში გვექნება საშუალება, რომ მსგავსი შეხვედრები ჩავატაროთ, ჩვენი ქვეყნის ნათელ მომავალსა და განვითარების შესაძლებლობაზე ვისაუბროთ.

სამეგრელოზე, სვანეთზე, აქაურ ისტორიასა და ადათ-წესებზე, ბუნებასა და ხალხზე საუბრით ქართველი კაცი არასდროს არ დაიღლება. თქვენი მხარე ყველაზე უკეთ გამოხატავს, თუ როგორ უნდა ცხოვრობდნენ განსხვავებული ხასიათისა და ტრადიციების, თუმცა უდიდესი წარსულის მქონე კუთხეების შვილები, რომლებიც ძალიან პატარა ტერიტორიაზე საერთო მიზნის გარშემო არიან გაერთიანებულნი...

**კარგად გახსოვთ, რომ პირველად ერთმანეთს 2012 წელს, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ტერორისგან, დანაშაულებისგან და ძალადობისგან შეურაცხყოფილ ზუგდიდში შევხვდით. მართლაც, თქვენს მხარეში ყველაზე მეტად გამოვლინდა რეჟიმისთვის დამახასიათებელი სისასტიკე, რადგანაც, როგორც აღმოჩნდა, სააკაშვილმა სამეგრელო-ზემო სვანეთი განსაკუთრებული მანიაკური მიდრეკილებების მქონე მწამებლების ვიწრო ჯგუფს ჩაუგდო ხელში! მათაც განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინეს, მეგრელ და სვან ხალხს ისეთი რამ აკადრეს, რაც საუკუნეების მანძილზე არც ერთ მტერსაც კი არ გაუკეთებია! – უკვე მრავალჯერ, ფაქტებით დადასტურდა, რომ იტაცებდნენ და ხოცავდნენ, შემდეგ კი მათ ცხედრებს უგზო-უკვლოდ აქრობდნენ, ძალადობდნენ და აუპატიურებდნენ უმწეო და დაუცველ ადამიანებს, პატიმრებსა და ამა თუ იმ დანაშაულში ბრალდებულ ახალგაზრდა ბიჭებს!**

დანაშაულის მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ – ყველას უნდა სცოდნოდა, რომ თუ სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“, სამეგრელოზე გაბატონებული ახალაიების ოჯახის წინააღმდეგ ხმას ამოიღებდა, ციხე, წამება და შანტაჟი ელოდა! ამ სინამდვილის პარალელურად კი ცინიკურად, პროპაგანდის მეშვეობით ცდილობდნენ, სამეგრელო საკუთარი წარმატების, მაგალითად ექციათ და დანარჩენი ქვეყნისთვის ეს ეჩვენებინათ! მოქმედების მსგავსი ლოგიკა და აღქმების შესაქმნელად ცრუ სიმბოლოების გამოგონება „ნაციონალური მოძრაობის“ დიდი ხნის ხელწერაა! ყველაზე უკეთ თქვენ გახსოვთ, უცხოელი პატრონებისგან დაფინანსებულმა და წაქეზებულმა პოლიტიკოსებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და მედიასაშუალებებმა, როგორ შექმნეს პარალელური რეალობა, თითქოს, 2003 წლის ნოემბრის მოვლენები არა ქვეყნის გარეთ ადგილობრივი და საგარეო აქტორების მიერ დაიგეგმა, არამედ მოსახლეობაში არსებული უკმაყოფილება რევოლუციურ განწყობებში გადაიზარდა, პროცესი კი წალენჯიხაში დაიწყო თითქოს და პირველი ნაბიჯებიც იქ გადაიდგა, რასაც მთელი საქართველო შეუერთდა.

**ზუსტად იგივე ძალებს დღესაც იგივე სურვილი აქვთ – უცხო ძალების ინტერესების შესაბამისად, ისევ სიცრუისა და პროპაგანდის გამოყენებით, ყალბი სიმბოლოების შექმნით საზოგადოების დაყოფითა და დაპირისპირებით უნდათ ხელში აიღონ ძალაუფლება, შემდეგ კი კიდევ ერთხელ გამოგვატარონ ის უბედურება, რაც საკუთარ თავზე უკვე გამოვცადეთ. მიუხედავად მათი სურვილისა, დღეს ამის განხორციელების არავითარი შესაძლებლობა არ აქვთ და ამის მთავარი მიზეზი ქართველი ხალხია! თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, მაშინ, როდესაც კრიტიკულად მოაზროვნე ქართულ საზოგადოებას შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან და თავად გააანალიზოს, რა არის სიმართლე, ვეღარავინ ახერხებს ჩვენი ხალხის შეცდომაში შეყვანას და საქართველოს არაკეთილმოსურნეების ინტერესების განხორციელებაც შეუძლებელი გახდა!**

დღეს, ერთადერთი გზა, რომელმაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა შეიძლება მოგიტანოს სიმართლე და ქვეყნისთვის გაკეთებული საქმეა! მხოლოდ ლამაზი სიტყვებით საუბარი მარტივია, თუმცა, თუ ამ სიტყვებს საკუთარი საქმიანობით არ ამყარებ, ყოველი მათგანი ფუჭია! ჩვენი პოლიტიკური გუნდის წარმატების ერთ-ერთი გასაღებიც სწორედ ეს არის. ჩვენ მიზანმიმართულად ვთქვით უარი ტყუილზე და ამ გზით მხარდაჭერის გაზრდაზე. „ქართულმა ოცნებამ“, ყველა სხვა პოლიტიკური ძალისგან განსხვავებით რთული გზა აირჩია და საზოგადოების ნდობის მოპოვებას ჩვენი გადადგმული ნაბიჯებით ვცდილობთ მხოლოდ!



მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ საქართველოში არ არსებობს სფერო, რომლის მიმართულებითაც გარდამტეხ პროგრესს არ მივაღწიეთ! ეს არის ფაქტი და, რამდენადაც უნდა ეცადონ საპირისპიროს დამტკიცებას, ჩვენი საზოგადოება ამ ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავს! საქართველოს პრემიერ – მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ უკვე ისაუბრა იმ საკვანძო მიღწევებზე, რაც კონკრეტულად ამ რეგიონში გვაქვს და საქართველოში. ამასთანავე, ჩვენი ქვეყნის პრემიერმა რამდენიმე დღის წინ, 7 ოქტომბერს საზოგადოებას წარუდგინა ჩვენი გუნდის პროგრამა, რომელიც იმდენად შთამბეჭდავია, რომ საქართველოს მტრებს თვალებს უბრმავებს და მოსვენებას უკარგავს, მოყვარეს კი უზომოდ ახარებს არსებული მიღწევები და კიდევ უფრო დიდი, მაგრამ ამავე დროს რეალისტური გეგმები.

## თუ დანის პირზე სწორად არ გავიარეთ, მშვიდობას ომი და ნგრევა, ჩიტების ჭიკჭიკის ხმას კი ბომბების წვიმა და ტყვიების ზუზუნი ჩაანაცვლებს!

როდესაც ჩვენ მიერ გაკეთებულ საქმეებზე ვსაუბრობთ, ოპონენტები მყისვე პარალელური რეალობის შექმნას იწყებენ და მათი ცნობილი ხელწერით ცდილობენ, შენებას ნგრევა, ხოლო სიკეთეს ბოროტება დაარქვან, მაგრამ ვეღარაფერს ამბობენ მაშინ, როცა ჩვენ საქმეებს საერთაშორისო ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაციები თავიანთი რეიტინგებით ამყარებენ და ადასტურებენ. აჭარის რეგიონში, ქალაქ ბათუმში სიტყვით გამოსვლისას რამდენიმე საერთაშორისო რეიტინგზე გავამახვილე ყურადღება, რომელშიც საქართველო უპირობო ლიდერია და თქვენც მინდა გაგაცნოთ საქართველოს წარმატების საერთაშორისო დადასტურება.

**„ატლანტიკური საბჭოს“ თავისუფლების და კეთილდღეობის 2024 წლის ინდექსით, საქართველო კეთილდღეობის 10-წლიანი პროგრესით მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია, 11-წლიანი პროგრესით კი, მსოფლიოში პირველ ადგილზეა. 11 წლიანი პროგრესით, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა, საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოში.**

**სასამართლო მართლმსაჯულებაზე სახელისუფლებო თავდასხმებისგან თავისუფლებით, საქართველო ევროპის საუკეთესო ათეულშია.**

**ღია ბიუჯეტის ინდექსში საქართველო სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში კვლავ პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის.**

**ხელისუფლების მხრიდან ფიზიკური ძალადობისაგან თავისუფლების 11-წლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზეა.**

**სამოქალაქო თავისუფლების 11-წლიანი პროგრესით საქართველო მსოფლიოში მეცხრე, ევრაზიის კონტინენტზე – მესამე, ევროპაში კი – პირველ ადგილზეა.**

**მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2024 წელს საქართველოში საერთაშორისო სიღარიბის დონე ახალ ისტორიულ მინიმუმამდე მცირდება და მაჩვენებლის 12-წლიანი გაუმჯობესებით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია.**

**ეს ყველაფერი არის იმ პროგრესის ძალიან მცირე ჩამონათვალი, რასაც ჩვენმა ხელისუფლებამ თქვენი, ქართველი ხალხის გვერდში დგომით მიაღწია. სწორედ იმიტომ, რომ ქართული ოცნება ადგას სწორ გზას ყველა მიმართულებით, საქართველოს შესახებ სამომავლო პროგნოზიც ძალიან შთამბეჭდავია, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქვეყნებს. ავტორიტეტულმა ინსტიტუციამ 2030 წლამდელი პერიოდის მსოფლიო ეკონომიკის გრძელვადიანი პროგნოზი გამოაქვეყნა, საქართველო კი ათწლიანი ზრდის პროგნოზის სამი მიმართულებით მოხვდა მსოფლიოს საუკეთესო სამეულში.**

ერთ სულ მოსახლეზე, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ათწლიანი ტემპის მიხედვით, საქართველო 2029 წლისთვის მსოფლიოს საუკეთესო სამეულში იმკვიდრებს ადგილს, ხოლო ევროპაში ზრდის უპირობო ლიდერია – უპირობო ლიდერია ევროპაში საქართველო 2029 წლამდე ეკონომიკის ზრდის ტემპებით, ეს უკვე მეორეა–2029 წლამდე ეკონომიკის ზრდის ტემპებით საუკეთესოა. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ამერიკულ დოლარში ერთ სულ მოსახლეზე 2029 წლისთვის 12 900 აშშ დოლარს გადააჭარბებს. ზრდის საპროგნოზო ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, კიდევ ერთი წელი რომ დავამატოთ, იმიტომ, რომ 2029 წლამდე გააკეთა კვლევა სავალუტო ფონდმა, 2030 წელს 14 ათას აშშ დოლარს გადააჭარბებს და მაღალი ალბათობით გახდება მაღალშემოსავლიანი სტატუსის მქონე ქვეყანა მსოფლიო ბანკის გრადაციით. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო მდიდარი ქვეყნების რიგში ჩაეწერება და ჩვენ ევროპაში არა ცალფეხზე და ხელგაწვდილი შევალთ, არამედ შევალთ თავაწეული და ამაყნი და გავხდებით ყველაზე წარმატებული გაერთიანებული ოჯახის წევრი. 2029 წლისთვის საქართველოს ექნება უფრო დიდი ეკონომიკა მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით, ვიდრე ევროკავშირის წევრ 6 ქვეყანას.

ქალაქ ბათუმში აღვნიშნე და თქვენც მინდა იგივე გითხრათ ჩემო მეგრელებო და სვანებო – არ გვექნებოდა არანაირი ხელშესახები პროგრესი, რომ არა უწყვეტი მშვიდობა, რომელსაც დიდი ძალისხმევის შედეგად ვინარჩუნებთ. ასევე არ გვექნებოდა არანაირი პროგრესი, რომ არა თქვენი ურყევი და მტკიცე მხარდაჭერა, რომ არა ნდობა, რომელსაც ჩვენი გუნდი უპირობოდ ამართლებს ყველა მიმართულებით. ჩამოთვლილი მიღწევები და სამომავლო, უაღრესად საიმედო პროგნოზები „ქართული ოცნების“ გუნდის დაუღალავი მუშაობის შედეგია. 12 წლის მანძილზე, არაერთი გამოწვევის პარალელურად, მუდმივად ვაუმჯობესებდით მართვის მეთოდებს, გვყავს პროფესიონალი საჯარო მოხელეების მთელი არმია, წარმატებული მენეჯერები, სამშობლოს და ქვეყნის ერთგული ლიდერები კონკრეტულად ამ ადამიანებმა უზრუნველყვეს საქართველოს ხელშესახები პროგრესი. ქვეყნის მართვის თითქმის უშეცდომო და სწორმა მენეჯმენტმა გაგვიყვანა შედეგებზე, რომელსაც თითოეული ჩვენი მოქალაქე საკუთარ თავზე გრძნობს. ჩვენ არ დავუშვით, არავის ვაპატიეთ ქვეყანაში კორუფციის, ნეპოტიზმისა და პიროვნული სარგებლის მიღების იოტისოდენა ფაქტები, რამაც, როგორც ხედავთ, ხელისუფლებაში ყოფნიდან 12 წლის თავზე კონკრეტული შედეგები გამოიღო და ამ შედეგებს ავტორიტეტული სარეიტინგო ორგანიზაციები ადასტურებენ. ამ საიმედო მოცემულობის პარალელურად – უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ოთხ ფლანგად გამოლილმა რადიკალურმა ოპოზიციამ როგორმე მოახერხა საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება, წლების ნაშენები ქვეყანა, ყველა რეიტინგი და ყველა პროგნოზი რამდენიმე წუთში გაქრება. თუ დანის პირზე სწორად არ გავიარეთ, მშვიდობას ომი და ნგრევა, ჩიტების ჭიკჭიკის ხმას კი ბომბების წვიმა და ტყვიების ზუზუნი ჩაანაცვლებს.

სწორედ მშვიდობა და ქვეყნის სწორი ეკონომიკური განვითარება უნდა გახდეს საფუძველი, რომ ავისრულოთ ნანატრი ოცნება – ისევ ერთიანი ვიხილოთ ჩვენი საქართველო.

**ამის ერთადერთი გზა კი ურთიერთშერიგებაზე, ურთიერთპატიებასა და ნდობის აღდგენაზე გადის. რა თქმა უნდა, ერთია ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები, თუმცა, უმნიშვნელოვანესია, არსებული რეალობა რამდენად ქმნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობას. არაერთხელ ვისაუბრე, რომ რეგიონში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების დინამიკურობის ფონზე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა ნებისმიერ დროს შეიძლება გაჩნდეს, თუმცა, ამისთვის სიფხიზლე და მზაობა გვმართებს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი გახდება ტერიტორიული მოწყობა არსებულ რეალობასთან მოვიყვანოთ თანხვედრაში და ეს კონსტიტუციაში ავსახოთ. სწორედ ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რის გამოც „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობით უნდა გაიმარჯვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“ ამ ყველაფერს ისევე შეეწინააღმდეგება, როგორც ნებისმიერ ჩვენი ქვეყნის ინტერესს! ამას, შერიგებასა და ნდობის აღდგენის შესახებ გაჟღერებული ნებისმიერი ინიციატივის საპასუხოდ არსებული მათი ისტერიული რეაქციები ადასტურებს.**

ამის საპირისპიროდ, უცხო ინტერესების შესაბამისი „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანას კვლავ ომში ექაჩება, რაც საქართველოს 2008 წელს ერთხელ უკვე დაატეხა თავს. ათობით ათას დევნილთან, ჩვენი გმირი მებრძოლებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების დაკარგულ სიცოცხლესა და დამატებითი ტერიტორიების დაკარგვასთან ერთად, „ნაციონალური მოძრაობის“ მაშინდელმა ქმედებებმა ქართველ და ოს თუ აფხაზ თანამოძმეებს შორის არსებული, გამთელებისკენ წასული იარა კიდევ უფრო გააღრმავა, შერიგების პროცესი კი დროში უფრო დაგვიანებული და რთული გახადა.

დღეს იმდენად მკაფიო განსხვავებაა „ქართულ ოცნებასა“ და მეორე მხარეს მდგარ „კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას“ შორის, რომ საზოგადოებისთვის არჩევანის გაკეთება ძალიან მარტივია. ჩვენს გუნდს აქვს გამოცდილება, უნარი და, რაც მთავარია, პოლიტიკური ნება, რომ ქვეყანაში მშვიდობა, სტაბილურობა და კეთილდღეობა უზრუნველყოს. ჩვენ შეგვიძლია, ჩვენ მიერ დაწყებული ევროპული გზა ქართველ ხალხთან ერთად, ლოგიკურად დავასრულოთ და ღირსების შენარჩუნებით გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ამის საპასუხოდ, გარე ძალების აგენტურას კვლავ ომი, ქაოსი და სიღარიბე სურს, რასაც გზა ქვეყნის განადგურებამდე მიჰყავს.

შიდა და გარე მტრებს არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ საქართველო დასაღუპად გაიმეტონ. მათ დღემდე ვერ გაუგიათ, რომ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას როგორც არ უნდა ეცადონ, არ არსებობს ორი საქართველო! საქართველო მხოლოდ ერთია, რომლის მოსახლეობასაც მშვიდობით, ღირსებითა და კეთილდღეობით, საკუთარი ღირებულებების შენარჩუნებით სურს გახდეს ევროპული ოჯახის წევრი! სწორედ ეს მარწმუნებს, რომ 26 ოქტომბერს კიდევ ერთხელ გავერთიანდებით, გავიმარჯვებთ და ქვეყანას სამშვიდობოს გავიყვანთ!

**გაუმარჯოს სამეგრელოს და სვანეთს!**
**გაუმარჯოს საქართველოს!**
**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!“.**

**15.X.2024**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მოსაპოვებლად:**

1. ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პრემია – მათემატიკისა და მექანიკის დარგში (5000 ლარი);
2. მიხეილ ნოდიას სახელობის პრემია – გეოფიზიკის დარგში (3000 ლარი);
3. კირიაკ ზავრიევის სახელობის პრემია – სამშენებლო მექანიკის დარგში (3000 ლარი);
4. გიორგი ციციშვილის სახელობის პრემია – ქიმიის დარგში (3000 ლარი);
5. პეტრე ქომეთიანის სახელობის პრემია – ბიოქიმიის დარგში (3000 ლარი);
6. გრიგოლ მუხაძის სახელობის პრემია – ქირურგიის დარგში (3000 ლარი);
7. ოთარ ნათიშვილის სახელობის პრემია – მელიორაცია-ჰიდროტექნიკის დარგში (3000 ლარი);
8. შალვა ამირანაშვილის სახელობის პრემია – ხელოვნებისა და კულტურის დარგში (3000 ლარი);
9. სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის პრემია – კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის დარგში (3000 ლარი).

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომი (მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული შრომა ან შრომათა ციკლი), რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ავტორთა ჯგუფის ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული.

კოლექტიურ ნაშრომში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც რეკომენდაციას გაუწევს წარმომდგენი ორგანიზაცია.

პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც ადრე მიენიჭა სახელმწიფო პრემია ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, ამ კონსკურსში არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში პრემიის მოსაპოვებლად წარმოადგენენ კანდიდატს, უნდა მიუთითონ პრემიის დასახელება.

კონკურსში მონაწილემ საჭიროა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას, მის თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის;

*(ნაშრომი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, სამეცნიერო ცენტრების ან შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ).*

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები CV); ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა;

დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

ე) ყველა საკონკურსო დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2024 წლის 16-დან 30 ოქტომბრის ჩათვლით, შემდეგ **მისამართზე:** თბილისი, რუსთაველის გამზ. N52, ოთახი 320. საბუთები მიიღება ყოველი სამუშაო დღის $11^{00}$-დან $17^{00}$ საათამდე.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 2-99-00-52



# იმედგაცრუება ცხოვრების შემადგენელი ნაწილია...

**შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო, ნათქვამია და როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება გვიდასტურებს, სამართლიანად არის ნათქვამი.**

**კარგა ხანია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ერთმანეთის მიყოლებით ააშკარავებს საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების სპეცსამსახურების მიერ დესტაბილიზაციის მიზნით შემოგზავნილ ორგანიზებულ ჯგუფებს, თუმცა, ასეთ სახიფათო აქტივობებს საზოგადოების მძაფრი რეაქცია არ მოჰყოლია, ვიდრე ჩვენმა უცხოელმა გულშემატკივრებმა არ დაარისხეს განგაშის ზარები. კერძოდ, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა ანალიტიკოსმა, დაზვერვის საკითხების ექსპერტმა ლარი ჯონსონმა ღიად განაცხადა, დასავლეთი საქართველოში „ფერადი რევოლუციის“ მოწყობას აპირებს და ქუჩაში საპროტესტოდ გამოსული ადამიანების მეშვეობით შეეცდებიან ხელისუფლების ჩანაცვლებას, მათი კაპრიზების მონური მორჩილების შემსრულებელი ხელისუფლებითო!**

რაც უნდა უჩვეულოდ მოეჩვენოს ვინმეს, იდენტური იყო რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის პოზიცია, რომლის მიხედვით, აშშ საქართველოში „ფერად რევოლუციას“ ამზადებს. ამ გავლენიან უწყებაზე დაყრდნობით, რუსეთის სახელისუფლებო მედია მიიჩნევს, რომ „თეთრ სახლში უკიდურესად უკმაყოფილო არიან 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით... ამერიკელები არჩევნებამდე დარჩენილ კვირებში აპირებენ მასშტაბურად გაზარდონ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა, რათა მაქსიმალურად შეასუსტონ „ქართული ოცნების“ ელექტორალური პოზიციები“.

კრიტიკულად განწყობილ ქართველ მოქალაქეს სრული მორალური უფლება აქვს, უნდობლობით მოეკიდოს რუსეთის საგარეო დაზვერვის განცხადებას, მაგრამ რეალობას სადღა გავექცევით?! ამერიკულმა საგარეო უწყებამ, ცალკეულმა სენატორ– კონგრესმენებმა, გავლენიანმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა არა მარტო მასშტაბურად გაზარდეს ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე ზოგადად, არამედ უბიძგეს უძლურებაში მყოფ პრეზიდენტს, რომელიც, სავარაუდოდ, დამოუკიდებლად აბაზანაშიც კი ვერ ჩადის, უღირსი საქციელი ჩაედინა, როცა ირაკლი კობახიძეს ოფიციალურ მიღებაზე მოსაწვევი გაუუქმეს!

**ღმერთო დაგვიფარე მეგობრებისაგან და მტრებს თავად გავუსწორდებითო, ამბობენ ცხოვრებით დაბრძენებული იტალიელები. მოყვრად მოსული მტერი რომ გაცილებით საშიშია, ამის თაობაზე ბარე ორ გონიერ ქართველს ხატოვნად აქვთ ნათქვამი. რა „ფერადი რევოლუცია“ და რის „ხავერდოვანი გადატრიალება“, როცა ფოჩიანი კანფეტებივით ლამაზად შეფუთული ტერმინების მიღმა გლობალისტ–ავანტიურისტების მზაკვრული გეგმები იმალება.**

კი, ბატონო, პოლიტიკურ ნიუანსებში სიღრმისეულად გარკვეული ედუარდ შევარდნაძის წინდახედულობით, ე.წ. ვარდების რევოლუციამ მსხვერპლის გარეშე ჩაიარა, მაგრამ შედეგად მივიღეთ კაცთმოძულე რეჟიმი, რომელმაც სისხლის ტბები დააყენა საქართველოში და ფეხქვეშ გათელა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები!

**პარაფსიქოლოგ ნინო გაფრინდაშვილის მტკიცებით, ლეთარგიული ძილის მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ანუ „ცოცხალ მკვდრებს“ ყველაფერი ესმით, იციან, რომ დამარხავენ, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. მართალია, ყველა შედარება მოიკოჭლებს, მაგრამ ასეთ სავალალო მდგომარეობაში იყო ქართული ოპოზიცია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, შეიძლება ითქვას, რომ პულსიც კი არ ესინჯებოდა, როცა მხსნელად მოევლინა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია, სატანის მოციქული ჯო ბაიდენის მეთაურობით. სწორედ ამ პერიოდიდან გააქტიურდა საქართველოში პოლიტიკურ პროცესებში ღიად ჩართული სამოქალაქო სექტორი, რომელთა უმრავლესობას სასათბურე პირობებში ამყოფებენ უცხოელი მფარველ-პატრონები.**

აბა, დაასახელეთ, ვინ არიან გლობალური ომის პარტიის წევრები, ვინ არიან „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლებიო,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## სისულელეს ფსიქოლოგია არა აქვს!

# იმედგაცრუება ცხოვრების შემადგენელი ნაწილია...



მესამე გვერდიდან

ჩვეული დემაგოგიურობით მოითხოვენ ხელისუფლების მომხრეებისაგან უშუბლისძარღვო ოპოზიციონერები.

გლობალურ ომის პარტიაზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ღრმა იატაკქვეშეთიდან წარმართავენ პროცესებს, ხოლო ე.წ. მეხუთე კოლონა (ტერმინი 1936-1939 წლების ესპანეთის სამოქალაქო ომიდან იღებს სათავეს) არის პოლიტიკურ–საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები, პროპაგანდისტული მიმართულების მედიასაშუალებებთან ერთად, რომლებიც უცხოელი დონორებისგან ფინანსდებიან და მათი მავნებლური დავალებების უსიტყვო შემსრულებლებად გვევლინებიან, საკუთარი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ!

**ცნობისათვის,** „მეხუთე კოლონის" თვალსაჩინო წარმომადგენლის, საქართველოს პრეზიდენტად წოდებული სალომე ზურაბიშვილის მშობლიურ საფრანგეთში, გერმანელი ოკუპანტების სექსუალურ მომსახურებაში მყოფ ქალებს „მტრის ჰორიზონტალურ თანამშრომლებს" უწოდებდნენ, უკიდურესი დამცირების ნიშნად. მინდა, მჯეროდეს, რომ პატრიოტულად განწყობილი ქართველებიც მოვუძებნით შესაფერის ფორმულირებას იმ უსამშობლო კოსმოპოლიტების ქმედებას, რომლებიც მიზანმიმართულად არყევენ სახელმწიფოს საფუძვლებს.

**უკანასკნელ წლებში მიმდინარე პროცესების ფონზე, მუდმივად მაწვალებს კითხვა, რომელზეც პასუხი ვერ მიპოვია — რატომ ვართ ქართველები იმ უფლებააყრილი გერის მდგომარეობაში, რომელსაც სიცოცხლე აქვს გამწარებული ანჩხლი დედინაცვლის ხელში?! აგერ, ჩვენი უახლოესი მეზობელი ქვეყნის, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა 2015 წლის სექტემბერში ისეთი რისხვა დაატეხა თავს ევროპელ ფარისეველ-რევიზიონისტებს, მგონი, სამუდამოდ დაუკარგა სუვერენული სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ხელის უცერემონიოდ ფათურის სურვილი.**

მიუხედავად იმისა, რომ ილჰამ ალიევს ოკეანისგაღმელი მონსტრი არ უხსენებია, ყველა ჭკუათამყოფელმა მშვენივრად იცის, რომ აშშ-ის პოლიტიკურ ხელისუფლებას სრულ მორჩილებაში ჰყავს ევროპული სახელმწიფოების ლიდერები, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა.

მას შემდეგ, რაც 2020 წლის არჩევნების მომდევნო დღეებში ხმების პარალელური დათვლის მიზანმიმართულად გაყალბებამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა, საქართველოში საგანგებო დავალებით მოავლინეს „ფერადი რევოლუციების" თეორეტიკოსის, წყეული ჯინ შარპის ბეჯითი მოწაფე პიტერ აკერმანი, რომელმაც ბაკურიანის თვალწარმტაცი ბუნების წიაღში მასტერკლასი ჩაუტარა ქრონიკულ ავანტიურისტებს: **ბათუ ქუთელიას, გიგა ბოკერიას, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს, ელენე ხოშტარიას, ხატია დეკანოიძეს, გიგა მაქარაშვილს, გიორგი მშვენიერაძეს...**

მართალია, პიტერ აკერმანმა საქართველოდან გამგზავრებიდან მოკლე დროში ჩვენი ჭირი წაიღო ჯოჯოხეთში, მაგრამ რა პრობლემაა, ხვალ თუ არა ზეგ, შეუძლიათ გამოგზავნონ ვინმე ცუკერმანი ანდა, ნებისმიერი გვარის სხვა ოდიოზური წარმომადგენელი.

ე.წ. სამოქალაქო სექტორი და რევანშისტულად განწყობილი პარტიები რომ შეხმატკბილებულად მოქმედებენ და უცხოელი დონორებისაგან მიღებულ სოლიდურ თანხებს ინაწილებენ ერთმანეთში, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, მაგრამ გაუგონარი თავხედობა, რაც ამ წინასაარჩევნო პერიოდში ხდება, მაინც მეტისმეტია. ის კი არა, ისეთი წარმოუდგენელი გადაჯგუფება ხდება პოლიტიკურ ველზე, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდით. მაგალითისთვის, შეგვიძლია დავასახელოთ მოძველბიჭო ალეკო ელისაშვილი, რომელმაც გასულ წელს ისეთივე სიმწვავით ამხილა მამუკა ხაზარაძე, როგორც ნიკანორ მელიამ გუბაზ სანიკიძე, მაგრამ ახლა 9-ნომრიანი მაისურით დადის ქუჩა-ქუჩა და ამომრჩეველს ყელგამოწვდილი ევედრება, 26 ოქტომბრის არჩევნებში მხარდაჭერა გამოუცხადეთ ხანდაზმული თაღლითობის მიერ შეკოწიწებულ კოალიციასო.

რა გაეწყობა, ჰეროდე და პილატე ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ, მაგრამ ქრისტეს სიძულვილმა გააერთიანა!

ახალი იდეებით და ახალი სახეებით მოვდივართო, გაიძახის მამუკა ხაზარაძე. იდეებს თავი რომ დავანებოთ, დავით უსუფაშვილია ახალი სახე, სალომე სამადაშვილი თუ ანა დოლიძე, რომელიც თინა ხიდაშელის მოადგილე იყო თავდაცვის სამინისტროში?!

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ტოქსიკური იქნებაო, წინასწარმეტყველებდნენ პოლიტოლოგები, მაგრამ რაც „ლეიბორისტული პარტიის" უცვლელმა თავმჯდომარემ იკადრა, ასეთ მდაბიო საქციელს, თვით შალვა ნათელაშვილისგანაც კი არავინ მოელოდა, ალბათ. არ მგონია, იმ ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ბედის უკუღმართობით, 25 წელია, ეტლზეა მიჯაჭვული, ბოღმა გულში ჩაიდოს, მაგრამ კაცმა არ იცის, რა უბედურება შეიძლება მოხდეს, თუკი ყიამყრალი ნათელაშვილი შემთხვევით პარლამენტის ტრიუმფატორებს გიგა ოჩხიკიძეს და აკაკი ჯინჭარაძეს გადაეყრება სადმე!

არანაკლებად ამაზრზენი იყო ნაციონალებთან მიკედლებული „ახალი სახის," ლაშა ბაქრაძის როყიო შეფასება, რომელმაც ქართველი კაცისთვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა და საქვეყნოდ მოიჭრა თავი, ღირსეული ქალბატონების სიტყვიერი შეურაცხყოფით.

კი, ბატონო შეიძლება პოლიტიკოსები ზედმეტად თავდაჯერებულები არიან, მაგრამ რა დივიდენდებსაც ეს სახედაკარგული ლაშა ბაქრაძე და გიორგი მარგველაშვილი თავიანთ კოალიციებს მოუტანენ, ერთობლივად დაითვალონ.

ცალკე საუბრის თემაა, ჭიჭე ვაშაძის ფანტასმაგორიული დაპირებები, რომლებმაც უკვე გალაქტიკურ მასშტაბებს მიაღწია. არჩევნებში დამაჯერებლად გამარჯვების შემდეგ საქართველოში მსოფლიო ბრენდებს შემოვიყვან და ორ მილიონ ახალ სამუშაო ადგილს შევქმნიო. თუ ამას დავუმატებთ 1000–ლარიან პენსიას და ევროკავშირში გაწევრების შემდეგ 14-მილიარდიან (ვერ აკონკრეტებენ, ლარებში გადაგვიხდიან გულუხვი ევროპელები ასეთ სოლიდურ თანხას, დოლარში თუ ევროში) დახმარებას, ძნელია, არ მოიხიბლოს გულუბრყვილო ამომრჩეველი.

**სისულელე, მაშინაც კი სისულელეა, როცა მას შეხმატკბილებულად იმეორებს სამასი ათასი ყბაო, ნათქვამი აქვს ფრიდრიხ შილერს. გონიერი კაცი იყო შილერი და ჩვენთვისვე იქნებოდა სასარგებლო მის შეფასებას თუ გავითვალისწინებდით!**

ცხადია, ხელისუფლება ვერ იქნებოდა ასეთი პრინციპული, ფართო საზოგადოების მხარდაჭერის იმედი რომ არ ჰქონდეს, ამიტომ არსებული რეალობიდან გამომდინარე, ოპოზიციას დიდი იმედგაცრუება ელის, მაგრამ რას ვიზამთ, იმედგაცრუება ხომ ცხოვრების შემადგენელი ნაწილია!

**P.S.** **ოქტომბრის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით არის გამოთქმული ვარაუდი სამოქალაქო დაპირისპირებების თაობაზე, წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში, რაც ჩემი დასაბუთებული ვარაუდით, გადაჭარბებულია.**

**სოციოლოგიაში არსებობს ტერმინი „შავი გედი", რომელიც გულისხმობს ისეთ ვითარებას, როცა პროცესები უმართავი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ–ის საელჩო საკუთარ გულისნადებს ამჟღავნებს და საამისო წანამძღვრები არ არსებობს, დარწმუნებული ვარ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საფუძველშივე აღკვეთავს სახიფათო დესტაბილიზაციის ნებისმიერ მცდელობას.**



**თეიმურაზ ჯანელიძე**
**წყალტუბო – ჩუნეში.**

## თაფლაკვერით და მათრახით...

# „მერყევთა" და „გაბრაზებულთა" არჩევანი



**როსთვის მიდის არჩევნებზე „გაბრაზებული ამომრჩეველი?" იმისათვის, რომ საკუთარი ხმით გამოხატოს პროტესტი და შეცვალოს მისთვის მიუღებელი მოცემულობა. მას უკვე აქვს გაკეთებული მკაფიო არჩევანი.**

ოდნავ განსხვავებულია ე.წ. „მერყევი ამომრჩეველი." ის იმედგაცრუებულია არსებული მოცემულობით, ხელისუფლების მიერ შეუსრულებელი დაპირებებით, მაგრამ არ არის „გაბრაზებული."

შესაბამისად, ოპოზიცია და მისი დასავლელი მხარდამჭერები აქტიურად ცდილობენ, რომ „მერყევი" ამომრჩეველი „გაბრაზებულ" ამომრჩევლად გადააქციონ და ამით ე.წ. „პროდასავლური" ოპოზიციის ელექტორატი გაზარდონ. ყველა, ვინც ფართოდ დახუჭული თვალებით არ უყურებს წინასაარჩევნო პროცესებს, მარტივად შეამჩნევდა ბოლო თვეების მანძილზე როგორ მეთოდურად ხდება დასავლეთის მიერ „გაბრაზებული" ამომრჩევლის დაიმედება და „მერყევ" ამომრჩევლებზე ზემოქმედება მათი გადმობირების მიზნით.

ზემოქმედების „კოქტეილი" კი საკმაოდ მრავალფეროვანია. „ქართული ოცნების" და მისი ლიდერების მიმართ წრეგადასული კრიტიკა და ზოგჯერ მუქარაც, ფინანსური თუ სავიზო სანქციები, ახალი უფრო მწვავე სანქციების დაპირებით, აბსურდამდე დასული უსამართლო რეზოლუციები საქართველოზე, პოლიტიკური კონტაქტების შეზღუდვა, ოპოზიციის წინასწარ გამოცხადება გამარჯვებულად და მოწოდებები ხელისუფლების გადაბარებაზე, დამატებითი მილიონების ჩაყრა ე.წ. „სამოქალაქო სექტორის" (იკითხე „რევოლუციის") მხარდაჭერისთვის, და ასევე, „პრეზიდენტ" ზურაბიშვილის ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში ოპოზიციის მხარეს და ბრიუსელში მომზადებული ე.წ. „ქართული ქარტიის" თავს მოხვევა ქვეყნისთვის.

**ამ დამსჯელი ღონისძიებების მიზანია, როგორც „ქართული ოცნებისთვის" მისი მხარდამჭერი ელექტორატის გამოცლა, ისე „მერყევი" ამომრჩევლის მოტივირება. ეტყობა, მიაჩნიათ, რომ მიმდინარე პროცესების შემყურე „მერყევი" ამომრჩეველი, უნდა გაბრაზდეს და არჩევნებზე ხმა აუცილებლად ოპოზიციას მისცეს იმის შიშით, რომ დასავლეთმა ახალი და უფრო მკაცრი სანქციები არ დაგვადოს, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუარესდეს, ევროპაში უვიზოდ ვეღარ იარონ და ა.შ.**

ჩვენი არჩევნების გამოცდილება და პრაქტიკა აჩვენებს, რომ სწორედ „ზომიერი" ამომრჩეველი შეადგენს „მერყევი" ამომრჩევლის აბსოლუტურ უმრავლესობას. თუმცა მისი ზომიერების მიუხედავად, ის თავის მენტალობით და კულტურით, მემარჯვენე და მემარცხენე კონსერვატიზმის ნაზავს წარმოადგენს. სხვათა შორის, „გაბრაზებული" ამომრჩევლის მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო კონსერვატიულია, ვიდრე ლიბერალური. იქნებ ამიტომაც არის, რომ „ქართული ოცნების" საარჩევნო გზავნილები და ბანერები სწორედ კონსერვატორთა ხმების მოზიდვაზე მუშაობს. ყველა წინა არჩევნებზე ამ მეთოდმა წარმატებით

## უნდა გავიგოთ, ვინ ვინ არის!

# ქართველ ქალებს სალომემ ცუდი ამბავი დაგვემართა...



**პარგა ხანია, რადიკალური ოპოზიცია საზღვარს გასცდა (სახელწოდება „რადიკალურიც“ იმიტომ დაიმკვიდრა), მათი გამონახტომები და სამშობლოს მომავლისადმი სხვაგვარი ხედვა თუ, უფრო სწორად, ხედვის არქონა, უკვე არ გვიკვირს, მაგრამ გვიკვირს და გვაოცებს როგორ გადალახა გეოგრაფიული საზღვარი რადიკალიზმმა, როგორ შეაღწია თეთრ სახლში და ევროკავშირში... ევროკავშირის გზით მიმავალი საქართველოს სურვილი, რომ იყოს სუვერენული, ქვეყანაში მიმდინარე სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა იყოს გამჭვირვალე და დაკანონებული, ნუთუ დემოკრატიულ პრინციპებს რაიმეს ვნებს? კი, ვნებსო! – ჯიუტად იმეორებენ ჩვენი რადიკალი ოპოზიციონერების კვალდაკვალ საზღვარგარეთელი პარტნიორები, მაგრამ ვერ გვიმტკიცებენ რატომ ვნებს და აგრძელებენ საქართველოს მთავრობისადმი მუქარას და აშკარად გამოხატავენ არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხების სურვილს.**

ასეა თუ ისე, მოახლოებული არჩევნების წინ კიდევ უფრო „დაქიჩმაჩდნენ“ ისინი. სულ რამდენიმე დღეა, რაც ევროკავშირის პარლამენტმა საქართველოს მისამართით მიიღო ისეთი რეზოლუცია, რომ ჩვენს „პატრიოტ,“ რადიკალურ ოპოზიციას, ქალბატონი პრეზიდენტის თაოსნობით, თავი უკვე საქართველოს პარლამენტის უმრავლესობაში ჰგონიათ, ეს უკანასკნელნი აშკარად გრძნობენ თანადგომას ევროპისა და ამერიკის პოლიტიკოსთა მაღალი ეშელონებიდან. დიახ, ეს რეზოლუცია და მრავალი სხვა ასეთები, უკვე კარგა ხანია, არა მხოლოდ ამჟღავნებს მათ მტრულ დამოკიდებულებას დღევანდელი საქართველოს მთავრობისადმი, არამედ აგულიანებს კიდეც ოპოზიციას...

სამწუხაროდ, ქალბატონი სალომე, რომელსაც „ზელადომანიობა“ ახლა დასჩემდა თუ იმთავითვე ჰქონდა, ვინ იცის, ოპოზიციონერი აღმოჩნდა!.. „ოცნების“ პარტიის თანადგომითა და ზრუნვით არჩეული პრეზიდენტი მოღალატედ მოგვევლინა ჩვენ – მის ამომრჩევლებს! არ მინდა სიტყვა „ღალატი“ გამოვიყენო ჩემი სამშობლოს პრეზიდენტის წოდებასთან, მაგრამ სხვაგვარად როგორ უნდა მოვიქცე, როცა თავად მან – ქალბატონმა პრეზიდენტმა, ასეთი გზა აირჩია. ახლა კი რას ვხედავთ? დიპლომატობასა და პოლიტიკოსობას ვინ დაეძებს, ელემენტარული ზრდილობაც კი ვერ აღმოაჩინა მასში ქართველი ხალხის უმრავლესობამ. საკვირველია ქვეყნის ამწრიალებელ და ამრევ ოპოზიციას სათავეში როგორ ჩაუდგა! სწორედ ეს ოპოზიცია აუჯანყდა მის კანდიდატურას, ახლა კი სანანებლად გახდომია ხალხს ის რთული, წინააღმდეგობებით დატვირთული პრეზიდენტის არჩევნების დღე (მათ შორის მეც. ორი წერილი მივუძღვენი ქალბატონი სალომეს კეთილ დახასიათებას, რას წარმოვიდგენდი, ხალხისა და მთავრობის ნდობას ასე თუ უპასუხებდა!).

ცუდი ამბავი დაგვემართა ქართველ ქალებს. თამარ მეფის საუკუნის შემდეგ დიდი დრო გავიდა და გვეგონა, აღვადგინეთ ჩვენი სანიმუშო ტრადიცია. გვეგონა, სალომე ზურაბიშვილი სწორედ ის პიროვნება იქნებოდა, ჩვენს ორად გაყოფილი საზოგადოებას რომ გააერთიანებდა. გვეგონა საქართველოს სილამაზეს, სითბოს, სიყვარულს და ერთგულებას მთელ ქვეყანას დაანახვებდა... ნაცვლად ამისა, მან ნამდვილად შეგვარცხვინა. ვისაც პრეზიდენტის კი არა უმაღლეს ეშელონებში მდგომი პიროვნების მოვალეობა ესმის, არა მგონია სალომეს ბიოგრაფიის ეს ნაწილი ნორმალურად ჩათვალოს. თუ ფიქრობს სალომე, რომ ის ახალგაზრდა ვაჟკაცები, დღეს რომ საქართველოს მართავენ, მასზე ნაკლები გონიერები, მასზე ნაკლები პატრიოტები არიან? არა, იფიქროს როგორც უნდა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით ჩვენ საქათველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ხომ ვხედავთ ვინ ვინ არის!

კი ბატონო, პრეზიდენტმა ჯიუტად, ურჩად, დამოუკიდებლად და მხოლოდ საკუთარი შეხედულებებითა და სურვილებით დატვირთულმა მოაწყოს ვოიაჟები ევროპის სახელმწიფოებში და საქართველოს სახელით შეხვდეს ევროპისა და ამერიკის პოლიტიკური ეშელონების წარმომადგენლებს, საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად მოახსენოს და ჩაუნერგოს მათ – ჩვენი მთავრობა ღალატობს ევროკავშირის გზასო!

ძვირფასო მკითხველო, ვინ იცის, იქნებ პირიქით ხდება. იქნებ მას ჩაუნერგეს მთავრობის ღალატი?! ყველაფერი შესაძლებელია! მაგრამ მთავარია გავერკვეთ: მერე და რა მივიღეთ აქედან? მივიღეთ ის, რომ პატივცემული საზღვარგარეთელი პოლიტსტუმრები და ელჩები უხეშად ერევიან საქართველოს საშინაო საქმეებში, გვკარნახობენ, როგორ მოვიქცეთ... ეს ახლა და, როცა წევრი გავხდებით, ალბათ, გუბერნატორებად მოგვევლინებიან! მგონი ასეთია მათი დემოკრატია?

საკითხავია, ახლა რა ხდება. ორბელიანების სასახლე საკუთრებაში მიითვალა ქალბატონმა პრეზიდენტმა, თავიც მამამთავრად წარმოიდგინა, სასახლე საარჩევნო შტაბბინად მოაწყო, ოპოზიციასთან შეხვედრები და თათბირები ორგანიზებულად მიმდინარეობს, კონსტიტუციაც თავად არის და კანონიც! რადიკალური ოპოზიცია „მოხიბლულია პრეზიდენტის ორგანიზატორული ნიჭით“. რაც მთავარია, აღფრთოვანებას ვერ მალავენ „ნამეტანი პატიოსნები“ – გვარამია და მისთანანი. ამ ორგანიზებულ დავიდარაბაში თითოეული რადიკალი დაინტერესებულია მომავალი მთავრობის შემადგენლობით. ხომ ვხვდებით რატომ!?

მაგრამ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, არ მოიწყინო, მგონი კარგად გავუგეთ ერთმანეთს. ქვეყანას ასეთი აღზრდილი და ჭკვიანი, სამშობლოს სიყვარულით ანთებული, მზრუნველი, მუხლჩაუხრელად მშრომელი ვაჟკაცებისგან შემდგარი მთავრობა ჰყავდეს და სხვაგან იყურებოდეს? მწამს, რომ ისინი კარგ და ნიჭიერ ოპოზიციასთან ერთად, უდავოდ შეეცდებიან ქვეყანაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, რაც მთავარია, საქართველოს გაერთიანებას!



**გულნარა სტურუა**

**დასავლეთს ჰაერივით სჭირდება მერყევი ამომრჩევლის მიბმა მის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ღირებულებით დღის წესრიგზე. ამიტომაც მიდის საარჩევნო გარემოს „ვულკანიზაცია“ პოპულისტური დაპირებებით და ამომრჩევლების დაშინებით, რომ დასავლეთი საქართველოს საშინელ სასჯელს უმზადებს, თუ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა.**

იმუშავა და ერთგვარად გააცამტვერა მითი ევროინტეგრაციის 85%-იან მხარდაჭერაზე.

რადიკალური ოპოზიციური პარტიების ირგვლივ კონსოლიდირებულ „გაბრაზებულ“ ამომრჩევლებს რაიმე განსაკუთრებული მობილიზაცია არ სჭირდებათ, მით უმეტეს ამა წლის აპრილ-ივნისის ცნობილი მოვლენების შემდეგ. სხვათა შორის, ამ მოვლენებმა ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალება მისცა მეტ-ნაკლებად ზუსტად გამოეთვალა „გაბრაზებული“ ამომრჩევლების რაოდენობა. რაც მათში საზოგადოებამ დაინახა, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო პოლიტიკური ექსტრემიზმი – ფენომენი რაც მიუღებელია „მერყევი“ ამომრჩევლისთვის.

ამავე დროს, „მერყევი ამომრჩეველი“ გადაიღალა დაუსრულებელი პოლიტიკური პოლარიზაციისგან და მისი სიმპათიები უფრო იმ პოლიტიკური ძალებისკენ გადაიხრება, ვინც პოლარიზაციის დასრულების რეალისტურ და ცივილიზებულ მექანიზმებს შესთავაზებს, ვინაიდან „მერყევი“ ანუ პოლიტიკურად არააფილირებული ამომრჩეველი დღეს აქტიური მოლოდინის რეჟიმში იმყოფება. მან იცის თავის ელექტორალური ფასი და ამიტომაც უფრთხილდება საკუთარ ხმას. ასეთმა ამომრჩეველმა შესაძლოა სახლში დარჩენა ამჯობინოს, თუკი ჩათვალა, რომ ეს არჩევნები ვერ მოიტანს მისთვის სასურველ ცვლილებებს და ყველაფერი ისევ იმავე წრეზე იტრიალებს. იმავდროულად, ახლა ამომრჩევლის სწორედ ეს მობილური ნაწილი ხდება გადამწყვეტი ძალა საარჩევნო პროცესში. მზარდი პოლარიზაცია სწორედ „მერყევი“ ამომრჩევლის (ზოგჯერ მათ „ბირთვულ“ ელექტორატს უწოდებენ) გავლენის ზრდის დროა. სწორედ ეს ამომრჩეველი არის ის ნანატრი „ფრინველი,“ რომელზედაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნადირობენ ჩვენი არჩევნების ფორმალური თუ არაფორმალური მონაწილეები შინ თუ გარეთ. დასავლეთს ჰაერივით სჭირდება მერყევი ამომრჩევლის მიბმა მის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ღირებულებით დღის წესრიგზე. ამიტომაც მიდის საარჩევნო გარემოს „ვულკანიზაცია“ პოპულისტური დაპირებებით და ამომრჩევლების დაშინებით, რომ დასავლეთი საქართველოს საშინელ სასჯელს უმზადებს, თუ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა.

ჰიბრიდულ ომს მარტო რუსეთი არ აწარმოებს, მას აწარმოებს ყველა დიდი სახელმწიფო, ოღონდ თავისებურად. მაგალითად, საქართველოს ე.წ. „პროდასავლურ ოპოზიციაში“ თავმოყრილი ძალების გამარჯვებას აშშ (და მასზე მიბმული ევროპა), არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ გლობალურ კონტექსტში განიხილავს. ეს გულისხმობს მსოფლიოს ყველა წერტილში მარიონეტული ელიტების ხელისუფლებაში მოყვანას. მათ ბევრი არაფერი მოეთხოვებათ, ისე როგორც 2003-2012 წლებში სააკაშვილის რეჟიმს. მათ მოეთხოვებათ დემოკრატიის ფასადის შენარჩუნება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების უსიტყვოდ შესრულება, ფულადი მართვის ეროვნულ სისტემებზე უარის თქმა, ეკონომიკის მიბმა საერთაშორისო კორპორაციების ინტერესებზე, თუნდაც ქვეყნის ინტერესების საზიანოდ, მედიისა და ტელეკომუნიკაციების კონტროლი და ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის კალაპოტში მოძრაობა. სწორედ ამისათვის დასავლური ფინანსური ინიექციებით გამოზარდეს ადგილობრივი „კონტრელიტები“, რომლებმაც პერსპექტივაში საკვანძო ხელმძღვანელი პოზიციები უნდა დაიკავონ სხვადასხვა სფეროში. შემდეგ კი ისინი „ცალ ფეხზე მდგომნი“ უსიტყვოდ და ენთუზიაზმით შეასრულებენ გარედან წამოსულ დირექტივებს და ამ პროცესში საკუთარ ჯიბესაც არ დაივიწყებენ.

**„მერყევი ელექტორატი“ ჩვენი საზოგადოების ის ფენაა, რომელსაც მეტ-ნაკლები დოზით ფინანსურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობა და კრიტიკული აზროვნების უნარი გააჩნია. „თაფლაკვერის და მათრახის მეშვეობით“ მათი მართვა, დასავლეთს საშუალებას მისცემს მეტი კონტროლი ჰქონდეს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის არჩევნების შედეგებზე. ამიტომაც, დასავლეთში, ერთი მხრივ, ცდილობენ საქართველოს „მერყევი“ ელექტორატი ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყონ, მეორე მხრივ კი, ეშინიათ, რომ ზეწოლის მიუხედავად, ეს ხალხი არჩევანს მაინც ქვეყნის სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის სასარგებლოდ გააკეთებს.**



**ზაალ ანჯაფარიძე**

## სკოლებში ბავშვების პირადი მონაცემების შეგროვება არსად არ ხდება!

**„საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო აცხადებს, რომ სალომე ზურაბიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სკოლებში კონკრეტული მიზნებისთვის ხდება ბავშვების პირადი მონაცემების შეგროვება, სიცრუეა და სიმართლეს არ შეესაბამება.**

**მსგავსი სახის დეზინფორმაციის გავრცელება არის მიზანმიმართული ქმედება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ განათლების სისტემის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.**

**გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, მოსწავლეთა მონაცემები – პირადი ინფორმაცია, მის მიერ კლასების დაძლევა, მიმდინარე ნიშნები – ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. გარდა ამისა, სისტემაში ასახულია ინფორმაცია მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების შესახებ.**

**პერიოდულად სკოლების მიერ ხდება სისტემაში არსებული მონაცემების, კერძოდ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, საკონტაქტო ტელეფონის, ელ.ფოსტისა და საცხოვრებელი მისამართის განახლება.**

**აღნიშნული ემსახურება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფი და მარტივი კომუნიკაციის უზრუნველყოფას.**

**განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უფლებამოსილია, მიიღოს და გამოიყენოს სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში არსებული პერსონალური მონაცემები.**

**მოვუწოდებთ კონკრეტულ პირებს, რომ თავი შეიკავონ დეზინფორმაციის გავრცელებისგან, რაც მიზანმიმართულად საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება“.**

# ღირებულებათა სიყალბე

**ჯუმბერ სარდლიშვილი**

**ენა როგორ მოუბრუნდება კაცს, განათლებულობაზე აუგი წამოსცდეს!.. ამაზრზენია, როცა დიდი ცოდნით პატარა ჭკუის ადამიანები იწონებენ თავს. უჭკუოს თავში ჩაყრილი ცოდნა ხიფათის შემცველია, კაცმა არ იცის, სად რა სისულელეს დააგრახუნებს. წანამძღვრებიდან დასკვნის გაკეთება იოლი საქმე არ გახლავთ; ჯერ წანამძღვრების ჭეშმარიტებაში უნდა დავრწმუნდეთ და შემდეგ – ჩვენი დასკვნების ჭეშმარიტებაში, რაც მწირი გონებრივი შესაძლებლობის კაცისთვის შეუძლებელია. შევეცადოთ ლიბერალური იდეოლოგიის ღირებულებები, დემოკრატია, თავისუფლება, მრავალფეროვნება, სიტყვისა და გამოხატვის თავისფლებები არსებითად განვიხილოთ:**

არსებობენ ერები, რომლებმაც საბჭოთა იდეოლოგიას თავი დააღწიეს და არსებობენ ერები, რომლებიც დღესაც ტოტალური ძალადობის მსხვერპლნი არიან. დასავლურ ლიბერალურ სამყაროს მიაჩნია, რომ თავისუფალი სამყაროა, სინამდვილეში შეუძლებელია პოლიტიკური რწმენის ადამიანი თავისუფალი იყოს, შეუძლებელია იდეოლოგიურ სახელმწიფოთა გაერთიანებაში თავისუფალმა სამყარომ იარსებოს. ცნობილ მოაზროვნეს, **იასპერს** მიაჩნდა, რომ „იდეოლოგია ნიღაბია ინტერესების შესანიღბად“. ზოგიერთ მოაზროვნეს იდეოლოგია რწმენის სფეროდ წარმოედგინა, რადგან მათი აზრით იდეოლოგიაში ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია.

ბატონი **მერაბ მამარდაშვილის** აზრით „იდეოლოგიის მზერა გონებას ადამბლავებს რაღაც სიცხადით“ (იმედი მაქვს გამონათქვამში მხოლოდ საბჭოთა იდეოლოგიას არ გულისხმობდა).

**პოპერის** განმარტებით იდეოლოგია აზროვნების დახურული სისტემაა, რომელსაც ყოვლისმომცველობის პრეტენზია აქვს. **პარსენსი, ლამბერგი, ლუმანი** და სხვები, როგორც პოლიტოლოგი ბატონი **ომარ გოგიაშვილი** წერს, უარყოფენ იდეოლოგიის მეცნიერულობას, მის ჭეშმარიტებას, მაგრამ აღიარებენ მის ორგანიზებულ და პრაგმატულ ფუნქციას. ბატონებო, გთხოვთ ყურადღება მიაქციეთ! ის, რაც ჭეშმარიტება არ არის, სიცრუეა. თურმე სიცრუე პრაგმატული მიზნით დასაშვებია, მას დიდი მაორგანიზებელი ფუნქცია გააჩნია. გავიხსენოთ, ფაშიზმმა გერმანელი ხალხის დასარაზმად არიული რასის განსაკუთრებულობა გამოიგონა და გონებადაბინდულ ადამიანებს მილიონობით ადამიანი გააჟლეტინეს. მარქსისტებს მსოფლიოში მუშათა დიქტატურა უნდა დაემყარებინათ. ამ სიცრუეში უამრავ ადამიანს ამოხდა სული. დღეს ვინმე დაიჯერებს, რომ ყველაზე დაჩაგრულ ადამიანებს – მუშებს დიქტატურის დამყარება და მსოფლიოზე ბატონობა შეუძლიათ?

იდეოლოგიის ცრუპენტელა სახე რომ დავინახოთ, ამერიკელი პოლიტოლოგის ბატონ **ლოჯის** აზრს მივაქციოთ ყურადღება, რომელიც იდეოლოგიას განიხილავს, როგორც იდეებისა და წარმოდგენების ერთიან სისტემას, რომელთა დახმარებითაც ფორმირდება კოლექტიური ცნობიერება, საზოგადოებრივი თანხმობა, ხდება საზოგადოებრივი ნების მობილიზება. ვის სჭირდება და რატომ სჭირდება კოლექტიური ცნობიერების ფორმირება?! აკი ამბობდა **ჯონ ლოკი,** თავისუფლება უფრო მაღალი მიზნის მიღწევის საშუალება არაა, ის თავად არის უმაღლესი პოლიტიკური მიზანიო.

ჩვენ საბჭოთა იდეოლოგიისგან განვთავისუფლდით, ვის აქვს უფლება, ჩვენი თავისუფლება კოლექტიურ ცნობიერებაში მოაქციოს და „უფრო მაღალი მიზნისთვის განგვაწყოს? **ჰეგელი** ამბობდა: „თავისუფალი ნება არის სუბიექტური ნების უფლება, ესაა მორალურობა. იგი სუბსტანციური ნებაა, როგორც თავისი ცნებისადმი შესაბამისი სინამდვილე სუბიექტში“. შემდეგ განმარტავს: „სუბიექტური ანუ მორალური თავისუფლებაა, უპირატესად ის, რასაც ევროპული აზრით თავისუფლება ჰქვია“. სად არის დღეს ის ევროპა? ვინ და რატომ მოაქცია თითოეული ევროპელი „კოლექტიური ცნობიერების“ მარწუხებში?

**ჯონ სტიუარტ მილი** ამბობდა, ინდივიდი საკუთარი თავის, საკუთარი სხეულისა და გონების სუვერენიაო. თავისუფლების ცნებაში სუბიექტს რატომ ჩაენაცვლა ინდივიდი, ევროპული აზრით თავისუფლება ხომ სუბიექტური ანუ მორალური თავისუფლება იყო? სუბიექტისთვის თავისი თავიც ობიექტია. ის თავის თავში თავის თავს აცნობიერებს, რაც ინდივიდისთვის მიუღწეველია, ყველა სახეობის ცხოველის ყველა ინდივიდივით შინაგან და გარეგან ბუნებრივ მოცემულობაშია და ბუნების კარნახით იძვრის; სცივა – თბილად იცვამს, სცხელა – გრილდება, შია – ჭამს, სწყურია – სვამს და ასე შემდეგ. მის ქმედებას ბუნებრივი ფაქტორები განაპირობებენ. ადამიანი – ინდივიდი ისეთივე ცხოველია, როგორც ყველა სახეობის ყოველი ცხოველი. გაუგებარია ინდივიდის თავისუფლების არსი. ნუთუ გრძნობებისა და მოთხოვნილებების ნებაზე მიშვებაა თავისუფლება? ამ გაგებით ადამიანი დაკნინებულია და ცხოველამდეა დაყვანილი.

**ჰეგელი ამბობდა:** „სუბიექტური ანუ მორალური თავისუფლებაა, უპირატესად ის, რასაც ევროპული აზრით თავისუფლება ჰქვია. ასეთი უფლების ქონა იმას ნიშნავს, რომ ადამიანს საკუთრად ჰქონდეს, საერთოდ, კარგისა და ავის გარჩევის უნარი“. როდესაც ადამიანი იწყებს კარგისა და ცუდის გარჩევას, ბუნებრივი



მოცემულობიდან საზოგადოებრივ განზომილებაში გადადის, თავის თავში მე–ს აცნობიერებს და კულტურული სივრცის ელემენტი ხდება. ასეთ ადამიანს პიროვნება ჰქვია. პიროვნების მთავარი მახასიათებელია წარმოსახვა და იდეის მოვლენაში გადატანა ანუ შესწევს უნარი წარმოსახვა საგნად აქციოს. საზოგადოებაში, იდეების სამჭედლოში, პიროვნება მჭედელია, რომელიც წარმოსახვიდან მოვლენამდე შემოქმედებით პროცესშია. ადამიანი, ფართო გაგებით, კულტურული სივრცის შემოქმედია და თავისუფლებასაც კულტურულ სივრცეში აღწევს. ქმნადობის პროცესს პიროვნება სიკეთისა და ბოროტების ორპოლუსიან სისტემაზე გადაჰყავს. ის მოვლენის მიზნობრიობას იდეაში განსაზღვრავს, რაც საშუალებას აძლევს, კეთილიც იყოს და – ბოროტიც, ზნეობრივიც და – უზნეოც, ნამუსიანიც და – უნამუსოც, სინდისიერიც და – უსინდისოც. ამიტომ ვამბობთ, ადამიანი ღმერთმა თავისუფალი შექმნაო, რაც გულისხმობს, რომ ადამიანს აქვს შესაძლებლობა თავისი თავი თავად დაადგინოს კეთილია თუ – ბოროტი, ზნეობრივი თუ – უზნეო, სინდისიერი თუ – უსინდისო. ინდივიდს შესაბამისი უნარები არ გააჩნია, ის ცხოველივით ბუნებრივი მოცემულობაა, რომელიც თავის თავში თავის თავს ვერ აცნობიერებს. ლიბერალური იდეოლოგიის მთავარ ღირებულებაში, ინდივიდის თავისუფლებაში, ადამიანი ცხოველამდეა დაყვანილი.

**ლიბერალები ამბობენ, ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც მეორე ადამიანის თავისუფლება იწყებაო. იდეოლოგიურ სისულელეში კიდევ ერთი სისულელე გაღიზიანებას აღარ იწვევს. ერთი ადამიანის თავისუფლება მეორე ადამიანის თავისუფლებას ვერასოდეს გადაკვეთს, თუ მისი შიგთავსი იდეოლოგიური სიყალბე არ არის. ადამიანი ბოროტებისა და სიკეთის ორპოლუსიან სისტემაში განსაზღვრავს მოვლენის მიზნობრიობას. ამ პროცესში ყველა თავისი თავის სუვერენია, მზერა მიმართული აქვს თავისი თავისკენ, ის თავისუფლებაშია.**

ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ „თავისუფლება და დამოუკიდებლობა ურთიერთმონაცვლე ცნებებია“. როგორც **ენდრიუ ჰეივუდი** მიგვითითებს „ლიბერალებისთვის თავისუფლება უზენაესი პოლიტიკური ღირებულებაა“. ეს ყველაფერი წარმოდგენებში გახლართული ადამიანების ბოდიალს ჰგავს. ჯერ ერთი, თავისუფლების ცნების გაიგივება დამოუკიდებლობის ცნებასთან იმას მოასწავებს, რომ არც დამოუკიდებლობის ცნებისა გაეგებათ რა და არც – თავისუფლების ცნებისა. თავისუფლება საზოგადოებრივი განზომილების ცნებაა, დამოუკიდებლობა კი – სახელმწიფო განზომილებისა. ცნების შეტანა იმ განზომილებაში, სადაც ის არ არსებობს ბუნებრივი უხერხულობაა, რაც დანაშაულებრივ წანამძღვრებს აჩენს; სახელმწიფოებრივ მოვლენებს საზოგადოებრივ მოვლენებთან აიგივებს. თუ დამოუკიდებლობა თავისუფლებაა, გამოდის, რომ ყველა ლიბერალი მოკლებულია თავისუფლებას, რადგან იდეოლოგიური რწმენისა და წარმოდგენების ტყვეობაში არიან და დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნიათ, მეტიც, იდეოლოგიური ადამიანი ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი.

**ეს კი იმას ამტკიცებს, რომ სახელმწიფო განზომილებაში თავისუფლებაზე საუბარი გონებრივი სიბეცეა. სამართლებრივ სივრცეში სამართლიანობაზე და კანონის წინაშე თანასწორობაზე შეიძლება საუბარი და არა – თავისუფლებაზე.**

ინდივიდი ბუნებასთან და პიროვნება საზოგადოებასთან მუდმივ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან, რაც არ ნიშნავს, ისინი თავისუფლებადაკარგულნი არიან. ცნებათა სიყალბემ ადამიანები იქამდე მიიყვანა, ზოგიერთს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივ უჯრედში – ოჯახში თავისუფლებას კარგავენ. დამოკიდებულება ურთიერთკავშირშია, თავისუფლებაში ყოფნა კი თავის თავში ყოფნა, თავისი თავის დადგენაა.

აქედან გამომდინარე დამოუკიდებლობის მიზნობრიობა აბსოლუტურად განსხვავდება თავისუფლების მიზნობრიობისგან, ამიტომ ურთიერთმონაცვლე ცნებები ვერ იქნებიან.

ჩემს მსჯელობაში ერთი პრობლემაა; ბოროტული მოვლენები თავისუფლების გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, თუ – არა? ვინაიდან ადამიანი მხოლოდ საზოგადოებაშია პიროვნება, საზოგადოებაშიც და პიროვნებაშიც გააქტიურებულია ცოდნა სიკეთის სარგებლიანობისა; საზოგადოებას აქვს სურვილი პიროვნებისგან სიკეთე მიიღოს და პიროვნებასაც აქვს სურვილი საზოგადოებას სიკეთე მიაწოდოს. როგორც კი პიროვნებაში ბოროტება იწყებს გააქტიურებას, იგი საზოგადოებისთვის კეთროვანი ხდება. ბოროტება საზოგადოებაში არამოთხოვნადი მოვლენაა. ეს ფაქტი გვარწმუნებს, რომ თავისუფლება სიკეთეა. ბოროტული მოვლენა თავისუფლების აქტად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან სარგებლიანობის პრინციპია დარღვეული. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანის თავისუფლება არის პიროვნების მიერ თავის თავის გამოვლენის პროცესი, რა დროსაც მოვლენის მიზნობრიობაში ის სიკეთეა. ამავე დროს თავისუფლება საყოველთაო – საკაცობრიო სიკეთეც არის. შეუძლებელია ამ პროცესში ადამიანმა სხვისი თავისუფლება გადაკვეთოს.

რაც შეეხება დამოუკიდებლობის მიზნობრიობას ბუნებრივ სივრცეში და საზოგადოებრივ განზომილებაში ის ბოროტებაა, რადგან ბუნებრივ აუცილებლობასთან წინააღმდეგობაშია. ამ ფაქტმა ბევრი მოაზროვნე შეიყვანა შეცდომაში და განაცხადეს, რომ თავისუფლება ბუნებრივი აუცილებლობით არის განპირობებულიო.

იდეოლოგიები ადამიანში პიროვნებას ვერ ხედავენ, ადამიანები, მათთვის, ან ინდივიდები არიან, რომლებსაც აღზრდა ესაჭიროებათ, ან – მოქალაქეები, რომლებსაც უფლებები

**თავისუფლება უფრო მაღალი მიზნის მიღწევის საშუალება არაა, ის თავად არის უმაღლესი პოლიტიკური მიზანი.**



**ლიბერალური იდეოლოგია ერთი რომელიმე ერის მტერი არ არის, ის კაცობრიობის მტერია.**

და ვალდებულებები უნდა განუსაზღვრონ. თავისუფალი ადამიანი იდეოლოგიისთვის მიუღებელია. მსურს ვივარაუდო, რომ დემოკრატია, თავის მაღალ საფეხურზე, ადამიანებს მართვადი ობიექტის მდგომარეობიდან გამოიყვანს.

**იდეოლოგიურ ღირებულებათა კიდევ ერთ სიყალბეზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: დემოკრატია სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა, სადაც ძალაუფლებას ანხორციელებს ხალხის წარმომადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების პოლიტიკა ხალხის ინტერესებს უნდა გამოხატავდეს. იდეოლოგია საზოგადოების ნაწილის ინტერესებს გამოხატავს. შინაარსობრივად დემოკრატიისა და იდეოლოგიის ცნებები ერთმანეთთან შეუთავსებადია. ლიბერალები იძულებულები გახდნენ, იდეოლოგიური მიზანი დემოკრატიის მიზნად ექციათ, ანუ დემოკრატია არსებითად გაეყალბებინათ. არასდროს ამბობენ „იდეოლოგიური დასავლეთი“, ყოველთვის ხაზს უსვამენ: „დემოკრატიული დასავლეთი“. ამ ნაბიჯით იდეოლოგიური ბოროტება ხალხის საფარქვეშ მოაქციეს და ხალხზე ძალადობის ინსტრუმენტად აქციეს.**

**პლატონის აზრით** იდეები მარადიულნი არიან (მას ღვთაებრივი იდეები ჰქონდა მხედველობაში). იდეები, რომლებზეც ვსაუბრობთ, ადამიანური იდეებია, რომლებიც ცვლილებებს განიცდიან. იდეების ძალადობრივი მარადიულობა აზროვნების განვითარებას აფერხებს. მარქსისტულ მზაკვრულ თეორიებს იმდენ კარგ სურვილს უმძღვარებდნენ, რამდენიც გონების „დასადამბლავებლად“ (მამარდაშვილის სიტყვაა) იყო საჭირო. გონებადადამბლავებული ადამიანი იდეოლოგიას ყურებით უჭირავს და საკუთარ საფლავს ათხრევინებს. კაცობრიობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა განთავისუფლდეს იდეოლოგიური კლანჭებიდან. სეკულარულმა სახელმწიფომ სამართლებრივი სივრცე რელიგიური იდეოლოგიისგან გაწმინდა, დადგა დრო, ის პოლიტიკური იდეოლოგიებისგანაც გაიწმინდოს, სახელმწიფო არც რელიგიური რწმენის ადგილია და – არც პოლიტიკური რწმენისა. პიროვნება თავისი თავის სუვერენია და უფლება აქვს, იდეოლოგური რწმენის ჩაკეტილ სისტემაში არ იცხოვროს. დასავლური დემოკრატია რწმენის ჩაკეტილი სისტემაა და ცნების არსიდან არის ამოვარდნილი. რომის იმპერიასაც დემოკრატიულს ეძახდნენ, თუმცა თავისი არსით მონათმფლობელური იმპერია იყო. საზოგადოების ნაწილის ძალაუფლება ვერც დემოკრატიული და ვერც სამართლიანი იქნება. რომის დემოკრატიული მმართველობისას იყო პერიოდები, რა დროსაც ერთპიროვნული ძალაუფლების მქონე იმპერატორები მართავდნენ იმპერიას და სენატი უძლური იყო ნება განეხორციელებინა. იულიუს კეისარმა სენატს ღმერთად აღიარებაც კი მოსთხოვა.

სიყალბე, იდეოლოგიური დემოკრატიისა, მისსავე ცნებაშია. მიზნები, მიზნის მიღწევის საშუალებები და შედეგები იდეოლოგიაშია გაწერილი. ხალხის წარმომადგენლობის საკეთებელი აღარაფერია. არა მხოლოდ საორიენტაციო, სამოქმედო ჩარჩო ცნობილი და დადგენილია. ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა რა აკეთოს? ბუზები ითვალოს? დემოკრატიის სადავო ცნებამ დაპირისპირებული დეფინიციები წარმოშვა და დღესაც დაუდგენელია დემოკრატიის რაიმე შეთანხმებული განსაზღვრება. ლიბერალური დემოკრატია არჩევნებით იწყება და ხელისუფლების არჩევასთან ერთად მთავრდება. ხალხის ძალაუფლება ბუშტივით სკდება და იდეოლოგიური ძალადობის ბერკეტი ხდება. დემოკრატიის სრული იგნორირებაა, როცა დასავლეთი თავს უფლებას აძლევს არადემოკრატიული უწოდოს კანონს, რომელიც სხვა ქვეყნის პარლამენტმა მიიღო და მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს. სამწუხაროა, რომ დემოკრატიას მიეწერება ღირებულებები, რომლებიც გაყალბებულია.

კულტურათა მრავალფეროვნება ლიბერალურ იდეოლოგიაში ყველაზე დანაშაულებრივი „ღირებულებაა“. მოვლენის მიზნობრიობაში ის ბოროტებაა, რომელმაც მარქსის ერების შერწყმის თეორიას ახალი სული შთაბერა.

ყველა მოდგმას ისტორიულად ჩამოყალიბებული სასიცოცხლო სივრცე აქვს, რომელსაც ქვეყანას ვეძახით. ქვეყანა და სახელმწიფო სხვადასხვა ცნებებია; ქვეყანა დედამიწაზე ერის განთესილობას ანუ ერის სასიცოცხლო სივრცეს ნიშნავს. ამ სივრცეში ერის უნიკალურობა ვლინდება. თითოეული ერის უნიკალური კულტურა საკაცობრიო მრავალფეროვნებაა. ბუნებაში ცხოველთა უამრავი სახეობა და უამრავი ჯიში არსებობს. მრავალფეროვნება ბუნებრივი მოვლენაა. წარმოგიდგენიათ რა ღატაკი იქნებოდა დედამიწა, მხოლოდ ვაშლის ხე რომ იყოს დედამიწაზე, ან თუნდაც – ერთი ჯიშის ვაშლი... სახეობრივი და ჯიშობრივი მრავალფეროვნება ბუნების მშვენიერებაა, რაც უდავო სიკეთეა. მოდგმათა მრავალფეროვნება ქმნის საკაცობრიო მრავალფეროვნებას, რისი საფუძველიც ერების უნიკალურობაა. ლიბერალური მრავალფეროვნება ერების შერწყმის მარქსისტული თეორიის ეშმაკური გადამღერებაა, რაც გულისხმობს თითოეული ერის სასიცოცხლო სივრცეში უცხოელთა ჩასახლებით კულტურათა აღრევას. ერთი ერის სასიცოცხლო სივრცეში სიჭრელე გამოიწვევს კაცობრიობის ერთფეროვნებას, რაც ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება. საკაცობრიო სივრცეში ერთა მრავალფეროვნება ბუნებრივი მოვლენაა, ხოლო ლიბერალური მრავალფეროვნება – კულტურათა ხელოვნური აღრევით შექმნილი სიჭრელე. **აქედან გამომდინარე ლიბერალური იდეოლოგია ერთი რომელიმე ერის მტერი არ არის, ის კაცობრიობის მტერია.**

✦ ✦ ✦

**ევროპა საფრთხეშია!** ვინ დგას ლიბერალაური ბოროტების უკან? რატომ სძულთ ეროვნული იდენტობები, რომელთა დაუძლურებას იდეოლოგიური მიზანდასახულობით ცდილობენ? ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ, ჯერ არავის მოუგია. ლიბერალებმა უნდა შეიგნონ, მათი ცრემლმორეული თვალების სიჩვილე ყალბია. თუ ვინმეს ხელოვნურად შექმნილი ლტოლვილების ბედი აწუხებს, სამშობლოში ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში დაეხმარონ. ბოროტების სიკეთით გამართლება შეუძლებელია. ყალბი დემოკრატიის პირობებში ხალხი ძალაუფლებას ვერ ანხორციელებს. ლიბერალური ხელისუფლებები ევროპაში ლიბერალურ იმპერიას ემსახურებიან და არა თავიანთი ხალხის ინტერესებს. საკვირველია, როცა ლიბერალები ხალხის სახელით ლაპარაკობენ.

ქართველი ლიბერალები, საბჭოთა იმპერიიდან გამოქცეულებს ლიბერალურ იმპერიაში მიგვერეკებიან. ამბობენ, ხელისუფლება ევროპულ მომავალს გვიკარგავსო, და ვერ აცნობიერებენ, რომ იდეოლოგიურ ტყვეობაში თავად ევროპულ ერებს არ აქვთ მომავალი. მადლობა ღმერთს, დასავლეთში ეროვნულ ძალთა გამოღვიძება დაიწყო, ამერიკაშიც საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. იმედი მაქვს, ლიბერალური ძალადობისგან განთავისუფლდებიან, სულიერ და ადამიანურ ღირებულებებს დაუბრუნდებიან. ჩვენ ევროპელები ვართ! ევროპული კულტურის აკვანი საქართველოში დაირწა და არავის აქვს უფლება, ევროპის კარი ჩაგვიკეტოს.

ლიბერალიზმმა ბევრ ქართველს დაუკარგა რეალობის აღქმის უნარი. საბჭოთა პერიოდის ცნობილი მოღვაწის შვილი გვარწმუნებს, ეროვნული იდენტობის შენარჩუნება მხოლოდ ევროკავშირშია შესაძლებელიო. ადამიანს ისე როგორ უნდა ჰქონდეს გონება



დაბინდული, სიცრუით საკუთარ მოდგმას სწამლავდეს?.. ლიბერალურ ევროპაში მრავალრიცხოვან ერებსაც უჭირთ იდენტობის შენარჩუნება.

უგუნურობამ წალეკა პოლიტიკური სივრცე. ქართველ ლიბერალებს საკუთარი მოდგმის კლდეზე გადაჩეხვა სურთ, რათა მიამიტური ღიმილით პირი ჩაიტკბარუნონ. ისინი მეოცე საუკუნის 20–იანი წლების ბოლშევიკებს ჰგვანან, რომლებმაც საბჭოთა იმპერიის ტყვეებად გვაქციეს. ერთი ლიბერალი გვეკითხება, საით გინდათ წასვლა, ტულაში თუ ტულუზაშიო.

**წინ გვინდა წასვლა, წინ, ჭეშმარიტი დემოკრატიისკენ, სამართლიანობისკენ, კეთილდღეობისკენ, წარმატებებისკენ, რაც ერს არ აკნინებს და სულიერად არ ათახსირებს. გვყავს ის ხელისუფლება, რომელიც ამას შესძლებს? არ ვიცი, მაგრამ მხოლოდ დღევანდელ ხელისუფლებას შეუძლია, ლიბერალური იმპერიის სათამაშო არ იყოს.**

სიყალბემ დემოკრატიისა ზღვარს გადააბიჯა. ერებს ევროკავშირში ეროვნული ინტერესი უნდა აერთიანებდეს და არა იდეოლოგიური სიბინძურე. ევროპელებთან არა მხოლოდ კულტურა და ქრისტიანული ღირებულებები, ჩვენი სისხლით ნათესაობაც გვაკავშირებს; იბერიელების, ეტრუსკების, პელაზგების, კელტების სისხლი დღევანდელი ევროპელების ძარღვებში ჩქეფს. ევროკავშირში უნდა შევიდეთ როგორც მთელში მთელი და არა როგორც მთელში ნაწილი. თუ ევროპა გვიყენებს პირობებს, ჩვენც გვაქვს უფლება, ჩვენი პირობა წამოვაყენოთ. ასეთი უთანასწორობა დემოკრატიაში დემოკრატიულობის კიდევ ერთი სიყალბეა.

განვითარებული ადამიანი მორალური ადამიანია. **ჰეგელი** ამბობდა, ევროპული თავისუფლება სუბიექტური ანუ მორალური თავისუფლებააო. ადამიანი შეიძლება ერთხელ მოატყუო, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ მუდმივად ტყუილში ვერ აცხოვრებ. დიდი ფინანსები და დიდი ძალისხმევაა საჭირო ადამიანთა გონების დასადამბლავებლად. არასამთავრობო ორგანიზაციები, ე.წ. სამოქალაქო საზოგადოებები, ლიბერალური პარტიები, განათლებასა და კულტურაში ჩანერგილი ზომბები იდეოლოგიური ცრუ რწმენიდან ვერ გამოდიან, თავის თავში თავისი სუვერენობა აქვთ დაკარგული, თავის თავს არ ეკუთვნიან.

ერთხელ ბაზარში შევესწარი, გაუბედურებულ ადამიანს მხიარული მოვაჭრეები ფულს უხდიდნენ და აყვირებდნენ, ვირი ვარ და ვყვირივარო. იმ ადამიანს ჰგავხართ, ბატონებო. განა ის კაცი თავის თავს ეკუთვნოდა? განა ის თავისუფალი იყო?

**ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში არადემოკრატიული არაფერია. სიტყვისა თუ გამოხატვის თავისუფლებისთვის ერთი პირობაა დასაცავი; ფულზე არ უნდა იყო გაყიდული. სხვისი დავალებით მოქმედება არც სიტყვისა და არც გამოხატვის თავისუფლება არ არის. დასავლეთში ფულს შვილებსაც არ სჩუქნიან. თითოეულ ცენტს თავისი მიზნობრიობა აქვს და რა სამწუხაროა, რომ შენი მეშვეობით შენს ხალხზე და შენს სამშობლოზე ძალადობენ. ეს არის დემოკრატია?! ჭეშმარიტების მოსმენისას თქვენ ხომ მიამიტურად იღიმით? ერთიც გაიღიმეთ! როცა არ იღიმებით ეჭვი მიჩნდება, გონზე ხომ არ მოხვედით. ჭეშმარიტი ევროპული თავისუფლება, რაზედაც ჰეგელი მიგვითითებდა, თქვენთვის უცხოა. პოლიტოლოგ ლოჯის „იდეებისა და წარმოდგენების“ ტყვეობაში ხართ და თვალები იდეოლოგიური ხილაბანდით გაქვთ ახვეული.**

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების ცნება სიტყვასთან და გამოხატვასთან სახამუშო მიმართებაშია, სიტყვის თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება საკაცობრიო ღირებულებებია; ადამიანი თავის თავს ნებას რთავს იყოს სუვერენი თავის ქმედებაში. იდეოლოგიურ დემოკრატიაში ქმედება იძულებაა. ფული ადამიანს იძულებულს ხდის, დამფინანსებლის ნებით იმოქმედოს. ის თავის ქმედებაზე გულის ტკივილს არ განიცდის, მისი აღშფოთებაც ისეთივე ყალბია, როგორც მისი თავისუფლება.

✦ ✦ ✦

მე შევეცადე; ლიბერალური თავისუფლების, ლიბერალური მრავალფეროვნების, ლიბერალური დემოკრატიის, ლიბერალური სიტყვის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების სიყალბე დამენახებინა. ახალგაზრდებს მინდა ვურჩიო, სამშობლო თუ გიყვართ და მისი მომავალი გაღელვებით, საპროტესტო გამოსვლებში სხვის ფულს ჯიბეში ნუ ჩაიდებთ, თორემ პატრიოტები კი არა, სამშობლოს გამყიდველები იქნებით!

და მაინც... მინდა იმედი ვიქონიო, რომ ყალბი ღირებულებებისგან განთავისუფლდებით და ღვთაებრივ, ეროვნულ და ადამიანურ ღირებულებებს დაუბრუნდებით.

**ჯ. ს.**

**ჩვენ ევროპელები ვართ! ევროპული კულტურის აკვანი საქართველოში დაირწა და არავის აქვს უფლება, ევროპის კარი ჩაგვიკეტოს.**



# ისრაელი: იდეოლოგიასთან ბრძოლა სამხედრო მეთოდებით არ გამოდის

**ზუსტად ერთი წლის წინ, 2023 წლის 7 ოქტომბერს, ჰამასის მებრძოლებმა სამხრეთ ისრაელის საზღვარი გაარღვიეს და მშვიდობიან მოსახლეობას დაესხნენ თავს. ისინი სასტიკად გაუსწორდნენ იქვე მიმდინარე მუსიკალური ფესტივალის მონაწილეებს: 1200-მდე ადამიანი მოკლეს და 250 მძევლად აიყვანეს. მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ, ერთ დღეში, ამდენი ებრაელი არ დაღუპულა.**

ჰამასის შეტევა მოულოდნელი აღმოჩნდა ისრაელის დაზვერვისა და თავდაცვისთვის. ისრაელმა თავდასხმას ღაზის სექტორში სამხედრო ოპერაციის დაწყებით უპასუხა, რომლის მიზანი ჰამასის რეჟიმის დამხობა, მისი სამხედრო პოტენციალის განადგურება და მძევლების გათავისუფლება იყო. ასე დაიწყო ისრაელის კიდევ ერთი ომი მის მარადიულ მტერთან, რომელსაც ბოლო არ უჩანს. ღაზას სექტორში, უკვე, 42 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. რეგიონი ნანგრევებად იქცა. ისრაელის არმიამ თითქმის გაანადგურა ჰამასის შეიარაღებული ძალები და მოკლა ჰამასის ლიდერი ისმაილ ჰანია, მაგრამ ჰამასს ჩრდილოეთ ისრაელში ჰეზბოლა მიეშველა. ჰუსიტებმა იემენიდან დაუშინეს რაკეტები ისრაელს. კონფლიქტი გაღვივდა და ახლა ისრაელს მტრის მოგერიება ყველა მხრიდან უწევს.

კონფლიქტმა, გარეგნულად, თითქოს, გააერთიანა ისრაელის საზოგადოება, მაგრამ ქვეყნა შიგნით მაინც გახლეჩილია. ზოგს, პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს ლიდერობით, ომის გამარჯვებამდე მიყვანა სურს. ზოგი პრემიერს აკრიტიკებს, ქვეყანა რომ აქამდე მიიყვანა. მძევლების საკითხიც გადაუწყვეტელი რჩება: ნაწილი გაათავისუფლეს, ნაწილი კი, ვერა. ამბობენ, მთავრობამ ისრაელის ექსპერტების აზრი არ გაითვალისწინა, რომ ისრაელი ჰამასს ბოლომდე ვერ გაანადგურებს, რადგან ჰამასი არა უბრალოდ რაღაც ორგანიზაციაა, არამედ ისლამური რადიკალისტური იდეოლოგიაა. ჰამასი და ჰეზბოლა იმ ზღაპრულ ურჩხულს დაემსგავსა, რომელსაც ერთ თავს მოჰკვეთ და მეორე ამოდის, თანაც, რადიკალების მიმართ არც მათრახი არ მოქმედებს და არც თაფლაკვერი.

ამის მაგალითია ჰამასის ჯერჯერობით გადარჩენილი ერთ-ერთი ლიდერი **იაჰია სინუარის** ცხოვრების ისტორია, რომელსაც არაერთი ტერაქტი აქვს მოწყობილი. 1988 წელს ის დაიჭირეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. 22 წელი გაატარა ციხეში. მერე, რაღაც მანქანებით, ისრაელის მოქალაქეებს დაუახლოვდა. ტვინის სიმსივნე რომ დაემართა, ისრაელის მთავრობამ სამკურნალო ფული გადაუხადა და, ბოლოს, პატიმრობიდანაც გაათავისუფლა. ახლა კი, ირკვევა, რომ შვიდი ოქტომბრის ტრაგედიის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი სწორედ ის იყო. ამიტომაა, რომ ექსპერტები მთავრობას ეუბნებიან, იდეოლოგიასთან ბრძოლა სამხედრო მეთოდებით არ გამოვა.

ის მხოლოდ საპირისპირო იდეოლოგიით დამარცხდება, ანუ არარადიკალ პალესტინელებს დაეხმარონ პალესტინის მომავლის აშენებაში.

**ღაზას ომმა აჩვენა, რომ მეზობელ არაბ ქვეყნებს პალესტინელები ფეხებზე ჰკიდიათ. ეგვიპტე მშიერ-მწყურვალ პალესტინელებს არ ეხმარება და არც საზღვარს უხსნის. ეს ქვეყნები პალესტინას მხოლოდ ისრაელის დასასუსტებლად იყენებს.**

კონფლიქტმა ისრაელის საგარეო იმიჯიც დააზიანა. დასავლეთში ანტისემიტიზმმა იმატა. ისრაელის მოსახლეობას თითქმის ყოველდღე უწევს თავშესაფრებში შესვლა. ეკონომიკაც მძიმე მდგომარეობაშია.



ჰამასის ჯერჯერობით გადარჩენილი ერთ-ერთი ლიდერი იაჰია სინუარი

ჰეზბოლა კი, კონფლიქტის შეჩერებას არ აპირებს. უკანასკნელ კვირებში, საომარი მოქმედებების ზონა გაფართოვდა. ისრაელის სამხედრო დანაყოფები სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე შეიჭრა. ასე თუ გაგრძელდა, ისრაელის არმიას ლიბანის სიღრმეებში მოუწევს შესვლა და კონფლიქტი, შეიძლება, სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ირანიც არ მალავს, რომ ის ჰეზბოლას მხარესაა. ისრაელის ღრმად შეტოპვამ კონფლიქტში, შეიძლება, მთელი არაბული სამყარო ისრაელის წინააღმდეგ აამხედროს. სწორედ, ამაზე ოცნებობს ირანი. შვიდი ოქტომბრის ტრაგედია რომ არ ყოფილიყო, ისრაელი სპარსეთის ყურის ქვეყნებთან უკვე დამეგობრებული იქნებოდა. მოკლედ, ისრაელი სერიოზული დილემის წინაშე დგას: განაგრძოს შეტევა, დიდ ომში ჩაება და მოსპოს ჰეზბოლა, თუ არ უპასუხოს ისლამისტ რადიკალებს და ისრაელის მოსახლეობა მუდმივ შიშში აცხოვროს.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**



## ევროკავშირმა ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციები დააწესა




**ევროკავშირმა სანქციები დაუწესა პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ირანიდან რუსეთისთვის ტექნოლოგიების გადაცემაზე.**

სანქცირებულთა შორის მოხვდნენ ირანის თავდაცვის მინისტრის მოადგილე საიდ ჰამზა გალანდარი და სხვა ოფიციალური პირები. ასევე, სამი ირანული ავიაკომპანია და ორი კომპანია, რომლებიც რაკეტების გაშვებისთვის საჭირო საწვავს აწარმოებენ.

რუსეთისთვის რაკეტებისა და უპილოტო საფრენი აპარატების მიწოდების გამო, ევროკავშირის საბჭომ სანქციები სულ შვიდი ფიზიკური და შვიდი იურიდიული პირის წინააღმდეგ დააწესა.

სანქციები მოიცავს აქტივების გაყინვას და ევროკავშირის ქვეყნებში შესვლის შეზღუდვას. ასევე, აღნიშნული ფიზიკური ან იურიდიული პირებისთვის სანქციები ზღუდავს მათთვის თანხების ან ეკონომიკური რესურსების პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაცემას.

## რუსეთმა და ჩინეთმა ერთობლივი სამხედრო წვრთნები ჩაატარეს

**რუსეთმა და ჩინეთმა წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთში წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო ერთობლივი სამხედრო წვრთნები ჩაატარეს.**

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სამხედრო წვრთნები აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ერთობლივი პატრულირების ფარგლებში გაიმართა.

რუსეთისა და ჩინეთის საზღვაო ძალების გემებმა ერთობლივი პატრულირება სექტემბერში დაიწყეს.

რუსეთმა და ჩინეთმა სექტემბერში სარაკეტო და საარტილერიო სროლები განახორციელეს, როგორც Ocean-2024 საზღვაო წვრთნების ნაწილი.

**დასავლური მედიის ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა წარმოადგინა წვრთნები წყნარ ოკეანეში შეერთებულ შტატებთან დაპირისპირების მიზნით.**



## აზერბაიჯანმა სტეპანაკერტში საცხოვრებელი კორპუსების ნგრევა დაიწყო

**მთიანი ყარაბაღის ტურიზმისა და კულტურის განვითარების სააგენტოს ყოფილმა თავმჯდომარემ სერგეი შახვერდიანმა სოციალურ ქსელ ფეისბუქზე საკუთარ გვერდზე აზერბაიჯანის ხელისუფლება სტეპანაკერტში (ხანქენდი) საცხოვრებელი კორპუსების მასობრივ დანგრევაში დაადანაშაულა.**

„ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, თუმანიანის ქუჩის გასწვრივ მდებარე დედაქალაქის ისტორიული კვარტალი მიწასთან გაასწორეს. ამ გზით ნადგურდება არა მხოლოდ ისტორია, არამედ მე-19 და მე-20 საუკუნეების კერძო შენობების ათასობით მფლობელის საკუთრების უფლება ირღვევა,“ – წერს ის და ასევე აქვეყნებს დანგრეული კვარტალის სატელიტურ ფოტოსურათებს.

შახვერდიანის თქმით, აუცილებელია სტეპანაკერტის მცხოვრებლების სასწრაფო ორგანიზება და არსებული საშუალებით, არცახელების (ყარაბაღელების) კოლექტიური უფლებების, მათ შორის დაბრუნებისა და საკუთრების უფლების უზრუნველსაყოფად სომხეთის ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო ნაბიჯების გადადგმის მოთხოვნა.

მანამდე, 20 სექტემბერს, დე ფაქტო ყარაბაღის რესპუბლიკამ მიიღო რუსი მშვიდობისმყოფელების წინადადება ცეცხლის შეწყვეტასა და საბრძოლო შენაერთების განიარაღებაზე, რაც ბაქომ აზერბაიჯანის მორიგ ტრიუმფად და ყარაბაღის კაპიტულაციად გამოაცხადა. ამასთან, აზერბაიჯანმა ყარაბაღელი სომხების რეინტეგრაციის გეგმასა და მშვიდობიან თანაცხოვრებაზე დაიწყო საუბარი, თუმცა, ყარაბაღელი სომხები აზერბაიჯანის ხელისუფლების კონტროლქვეშ ცხოვრებაზე უარს ამბობენ და სომხეთში, იძულებით გადაადგილებული პირების სტატუსით გადადიან საცხოვრებლად. ამ მოვლენებამდე ყარაბაღში 120 ათასი ეთნიკურად სომეხი ადამიანი ცხოვრობდა.

# ახალი ილორი — თბილისის ცენტრში

## ქართველთა და აფხაზთა ურთიერთშენდობის სასულიერო კერა!



**ლევან ჯანაშია გაგრაში დაიბადა და რომ არა აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომი, ახლა მშობლიურ კუთხეში გააგრძელებდა მოღვაწეობას და, დიდი ალბათობით, ჩვენი ქვეყნის ძირძველ მიწაზე მართლმადიდებლურ ეკლესიებში აღასრულებდა ღვთისმსახურებას, თუნდაც, ილორის ტაძარში!**

**ბედმა სხვაგვარად არგუნა და დღეს მამა ლევანი თბილისის გულში მეორე ილორად წოდებული საეკლესიო კომპლექსის წინამძღვარია.**



ლევან ჯანაშია

**აფხაზეთის** ომმა გაგრის საშუალო სკოლის პირველკლასელს მოუსწრო, და როცა თბილისში ლტოლვილობისას შინ დაბრუნების ამაო ლოდინში წლები მიილია, დედაქალაქის 102-ე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, 2002 წელს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩაირიცხა ინფორმატიკის ფაკულტეტზე

ასე იწყებს თავის ბიოგრაფიას ჩემი რესპონდენტი, 38 წლის ლევან ჯანაშია.

საბურთალოზე, თამარ მეფის სახელობის ტაძარში, მამა ზაქარია მაჩიტაძესთან დამოძღვრებულმა სტიქაროსანმა როდესაც შეიტყო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის არსებობის შესახებ, მძაფრი სურვილი გაუჩნდა, ამ სულიერ სავანეში გაეგრძელებინა სწავლა.

**მამა ლევანი: როცა ჩემმა მეგობარმა მედავითნეებმა მითხრეს, რომ პატრიარქი, სასულიერო აკადემიის რექტორი, ლექციების დაწყების წინ სისტემატურად ხვდებოდა სტუდენტებს და დილის საუბრებში მეტად საინტერესო თემებზე მსჯელობდნენ, ტექნიკურ უნივერსტეტში ბოლო დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისთანავე მივაშურე სასულიერო აკადემიას და სემინარიას.**

და გახდა სემინარიის სტუდენტი. უკვე მეორეკურსელს სამების ტაძარში მოუწია დიაკვნობა და მისთვის უდიდესი სიხარული იყო უწმინდესთან მსახურება. ექვსი თვის შემდეგ ამაღლების ტაძარში გადაიყვანეს.

გავიდა წელიწადნახევარი და 2011 წელს ტაძარში საპატრიარქოდან არქიტექტორები ესტუმრნენ და აუწყეს, რომ პატრიარქის კურთხევით შეეძლო წასულიყო და ენახა ნაკვეთი, რომელიც ოჩამჩირელმა კაცმა გადასცა საპატრიარქოს...

ჩვენ სწორედ ახლა იმ ადგილზე ვიმყოფებით და ვსაუბრობთ, სადაც 2011 წელს ბატონმა ზურაბ ჩიქოვანმა, შვილმკვდარმა მამამ, თავისი კახას სულის საცხოვნებლად ეკლესიას შესწირა ეს შემოგარენი. 1300 კვადრატული მეტრის ფართობს კახას მეგობარმა, თბილისელმა სერგო ბუზუტეიშვილმა ამდენივე ზომის მომიჯნავე ნაკვეთიც უბოძა საპატრიარქოს და ასე ჩაეყარა ფუძე შემდგომში ახალ ილორად წოდებულ ამ სულიერ სიწმინდეს, ამ დიდებულ ღვთის სახლს.

მამა ლევან ჯანაშია აქ პირველყოვლისა პარაკლისების გადახდას შეუდგა. შემოდგომის პირი იდგა, ზამთარი მოდიოდა და მხოლოდ მცირე ხნით მიეცა ლოცვის აღსრულების საშუალება. ზამთარში მრევლს ქუჩაში ვერ დააყენებდა და გადაწყვიტა პატარა ტაძარი აეგოთ წმინდა ნიკოლოზის სახელზე. სექტემბერში დაიწყეს საძირკვლის მომზადება და ექვს თვეში ტაძარი ფაქტობრივად მზად იყო წირვების ჩასატარებლად. 2012 წლის 4 მარტს, ბზობის დღესასწაულზე შესრულდა პირველი მსახურება. სამი წლის შემდეგ უკვე დიდი ტაძრის მშენებლობას შეუდგნენ. ეს პერიოდი ახალგაზრდა სასულიერო პირისათვის ძალზე რთული იყო და სწორედ მაშინ გამოჩნდა ის მამულიშვილური შემართება, რაც აფხაზეთიდან დევნილებმა გამოიჩინეს და მხარში დაუდგნენ მამა ლევანს.

პირველივე დღიდან ამ კეთილშობილურ საქმეში მონაწილეობს დედით აფხაზი ალექსანდრე წულაია, აფხაზეთის მკვიდრნი ლორენცო შარანგია, ალექსანდრე კუჯუხიძე, განუზომელია დამსახურება თბილისელი თამაზ გოგინაშვილისა, რომელსაც მასშტაბური ფინანსური მხარდაჭერით საძირკვლის მომზადებიდან დღემდე დიდი წვლილი უდევს მშენებლობის ხორცშესხმაში. ასევე პატივი უნდა მივაგოთ სილიბისტრო კანკავას, ნუგზარ ძიაბშპას, გიორგი (ცერა) ალანიას, დებ მაია და ნანო გერგაიებს, გიორგი მახათაძეს, გიორგი დანელიას, ამირან ნოდიას...

ამჟამად ტაძრის მოპირკეთების სამუშაოებს ხელმძღვანელობს თემურ ანჩაბაძე.

მრავალმხრივ საყურადღებოა, რომ ახალ ილორად სახელდებულ ამ საეკლესიო კომპლექსით ოკუპირებულ აფხაზეთში დიდი დაინტერესებაა. მაგალითად, აფხაზთა და ქართველთა შორის ერთგვარ მეგზურად გვესახება ბატონი მერაბ ემუხვარი, ვისაც ორივე მხარესთან აქვს კონტაქტი.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართული აფხაზეთის მცხოვრებნი, როდესაც ენგურს აქეთ სამშობლოში სამკურნალოდ ჩამოდიან, სწორედ აქ იღებენ ზიარებას და აბარებენ აღსარებას.

საგულისხმოა ერთი ფაქტი, რომელსაც განსაკუთრებით აღნიშნავს მამა ლევანი. სწორედ აქ, ამ ტაძარში შეხვედრიან ერთმანეთს მსახურებასა და შემდგომ ტრაპეზზეც აფხაზეთის ომის მონაწილე მეომრები იქითა და აქეთა მხრიდან. არა მხოლოდ სადღეგრძელოები, შენდობაც უთქვამთ ერთმანეთისთვის, გარკვეული წილი დანაშაულისა ყველა მათგანს საკუთარ თავზე აუღია და პატიების სიტყვაც წარმოუთქვამთ.

პირველყოვლისა, სწორედ ეს მისია აკისრია თბილისის გულში დაფუძნებულ ახალ ილორს, უფრო მასშტაბური გახადოს ქართველთა და აფხაზთა შეხვედრები, რომ უფლის შემწეობით და უფალთან სიახლოვით მივიდეთ იმ მდგომარეობამდე, რომ ვაღიაროთ საკუთარი წილი შეცდომები. სწორედ ეს გვიქადაგა ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა ახალი ილორის ტაძარში სტუმრობისას. ასეთივე იყო მრევლთან შეგონებები პატრიარქის მოსაყდრის მეუფე შიოსი და საპატრიარქოს წარმომადგენლის, მამა ანდრია ჯაღმაიძისა, როდესაც აქ მონაწილეობდნენ ხოლმე ღვთისმსახურებაში.

საუბრის დასასრულ მამა ლევან ჯანაშიამ თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სწავლის წლებიც გაიხსენა:

**„2010 წელს დავამთავრე სასულიერო სემინარია. მაშინ იმდენად შრომატევადი იყო ჩემთვის ამ ტაძრის მშენებლებთან ურთიერთობა და მათი ხელმძღვანელობა, ამასთანავე მრევლთან მსახურებების ჩატარება, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი თუ სასულიერო აკადემიაში გავაგრძელებდი სწავლას. დეკანოზმა, მამა ბესარიონ ცინცაძემ რამდენჯერმე მირჩია სრულმეყო აკადემიური განათლება. საბოლოოდ აღვისრულე წადილი. განსაკუთრებით აღვნიშნავ ჩემს მიმართ მამა გიორგი ზვიადაძის ყურადღებას და მასთან ერთად მადლობით მოვიხსენიებ ყველა ჩემს პედაგოგს“.**



ახალი ილორის ტაძრის საკვირაო სკოლის ნორჩი მოსწავლეები და პედაგოგები

**გივი შეყილაძე**

## ჟახუნდერის ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი ალეკო ონიანის სახელობისაა!

**ლენტეხში, სოფელ ჟახუნდერის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს შინდისისა და საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელი მიენიჭა. ინფორმაციას „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის დელეგატი გოჩა ენუქიძე ავრცელებს.**

**„ალეკო ონიანის სახელობის მწვერვალი ზღვის დონიდან 2 606 მეტრზე მდებარეობს. 11 ოქტომბერს, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ალეკო ონიანის სახელობის მწვერვალზე მონუმენტი დაიდგა. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან პაპუნა მარგველიძესთან და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერთან გია ონიანთან ერთად გმირის საფლავი მოვინახულეთ და კიდევ ერთხელ პატივი მივაგეთ გარდაცვლილის ხსოვნას.**

**შეგახსენებთ, რომ ალეკო ონიანი აგვისტოს ომში, სოფელ შინდისთან გმირულად დაიღუპა. ნათლულ, კაპრალ რომან ზოიძესთან ერთად თავი ყუმბარით აიფეთქა.**

**სიკვდილის შემდეგ მას მიენიჭა ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი (2009) და (2021) წელს კი ეროვნული გმირის წოდება“.**






## „გორის დღე“ 2024...

**ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეგობარი ქალაქებიდან გორში სტუმრად მყოფ დელეგაციების (ოჟიში და ბიალისტოკი – პოლონეთი) წევრებთან ერთად დაათვალიერეს თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოფენილი პროდუქცია, ხელოვანების ნამუშევრები და სხვადასხვა ორგანიზაციების კუთხეები.**

სადღესასწაულო სივრცეში წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების კუთხეები, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციისა და ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა – გაყიდვა, კვების ობიექტებისა და სოფლების კუთხეები, საბავშვო გასართობი სივრცეები, ტურისტული კუთხე – „ჯიპ – ტური“ და კონცერტები.

„გორის დღე 2024“ გალა-კონცერტით დასრულდა. კონცერტში, მონაწილეობდნენ „ნართები“ და ჯგუფი „ურსა“.

◉ ერთა ლიგა

# ალმართიდან — დალმართში

**როცა შესანიშნავი სტარტის შემდეგ უკრაინასთან ერთა ლიგის „ბ“ დივიზიონის პირველი ჯგუფის მესამე ტურის მატჩი წავაგეთ, ამის ერთ-ერთ მიზეზად პოლონური პოზნანის სტადიონის ქვიშიანი გაზონი ჩავთვალეთ, თუმცა მეორე წრის სტარტზე, თუნდაც წვიმაში, მაგრამ მაინც, მიხეილ მესხის სარბიელის შესანიშნავი სადრენაჟო სისტემით აღჭურვილ მინდორზე ალბანეთთან მარცხმა სხვა ლაფსუსებიც გამოგვიმზეურა.**

**საქართველო – ალბანეთი 0:1**

**პირველი ტაიმი 0:0**

**საქართველო: მამარდაშვილი, კაკაბაძე, კაშია, დვალი, ლოჩოშვილი, დავითაშვილი, კიტეიშვილი, ჩაკვეტაძე, მიქაუტაძე, კვარაცხელია, ზივზივაძე. ითამაშეს აგრეთვე წიტაიშვილმა და შენგელიამ.**

**გოლი:** ასლანი (48-ე წთ).

**მსაჯი:** მაკელე (ნიდერლანდები).

თუ წინა მეტოქესთან იმედგაცრუებას მიჩვეულნი ვართ და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მასთან ჯერ ერთი ბრძოლაც არ მოგვიგია, სტუმრებთან – პირიქით, საუკეთესო სტატისტიკითა და დიდი უპირატესობით ვტრაბახობთ ისე, რომ აქამდე შინ ხუთივე შეხვედრაში გამარჯვება გვქონდა მოპოვებული. როგორც ხედავთ, ჩვენგან განსხვავებით, **სილვინიოს** გაწვრთნილმა გუნდმა ნავსი გატეხა და ეს ღირსეულად მოახერხა.

როცა ზედიზედ მეორე მშრალად წაგებულ თამაშზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით 3 დღის წინათ პოლონურ ყანაში **ქოჩორაშვილის** მიერ მიღებულ საზედისწერო გაფრთხილებას, რამაც ჯვაროსნები საკვანძო ნახევარმცველის გარეშე დატოვა და **ვილი სანიოლი** აიძულა ჩვენი ეროვნული ნაკრების ტაქტიკა და შემადგენლობა ძირფესვიანად შეეცვალა.

სამწუხაროდ, ამთავითვე უნდა ვაღიაროთ, რომ მისმა ექსპერიმენტმა არ გაამართლა და ერთბაშად 5 შემტევის დაყენების მიუხედავად, პირწმინდად დათმო ტაქტიკური დუელი ბრაზილიელ კოლეგასთან.

ასეთი რისკიანი ნაბიჯი რომ, დიდი ალბათობით, წინასწარვე კრახისთვის იყო განწირული, ძლევამოსილი თბილისის „დინამოს“ საამაყო წარსულში ექსკურსმა გამახსენა, როცა მაშინდელ აუტსაიდერ ცსკა-სთან საშინაო უთანასწორო ბრძოლა ძვირფასი ქულის



დაკარგვით დავასრულეთ მაშინ, როცა **ნოდარ ახალკაცმა** მეორე ტაიმში მოიერიშეთა რაოდენობა ასევე ხუთამდე გაზარდა, მაგრამ ამით ვარსკვლავ შეგირდთა უთავბოლო ფაფხური მაინც ვერაფრით დაალაგა.

კი ბატონო, გეთანხმებით, რომ როცა ურემი გადაბრუნდა, მაშინ ადვილია ხელის ჩაშლილი სანახაობის ავტორისკენ გაშვერა, მაგრამ იბადება კითხვა – სხვა ვარიანტი თუ არსებობდა?

დიახ, ძნელია აღნიშნულ დილემაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ „ქოჩორას“ ნომინალური კონკურენტის **ალთუნაშვილის** სახით თადარიგში იმავე ამპლუის შუახაზელი გვყავს, რომელსაც ოდესმე ნდობა ხომ უნდა გამოვუცხადოთ, ან თუნდაც მუდამ აქტიური კაკაბაძე შეგვეწია დისკვალიფიცირებული ლიდერის პოზიციაზე და მისი მარჯვენა ფლანგი იტალიის სერია – ა-ში შესანიშნავი დებიუტით გამორჩეული **გოგლიჩიძისთვის** დაგვეთმო?

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ბიჭებს მონდომებას ვუკარგავდეთ. სულაც არა – რაც შეეძლოთ, თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ უყოჩო ფარას რომ ჰგავდნენ და როგორც გვილია, ისე კვეკვესკირი რომ სანატრელნი გაგვიხდნენ, ესეც მწარე სიმართლეა.

ბედად, იმავე საღამოს უკრაინა – ჩეხეთის ფრე – 1:1 ისევ გვიტოვებს ჯგუფის მოგების შანსს იმის მიუხედავად, რომ მინიმალური უპირატესობა და ლიდერობა ჩეხებს გადავულოცეთ, თუმცა წარუმატებელი სერიის გაგრძელების შემთხვევაში არც კვარტეტში მაჩანჩალობამდე დაშვება და კვლავ „გ“ დივიზიონში დაქვეითებაა გამორიცხული. მოკლედ, ყველაფერი ჩვენს ხელშია.

**სატურნირო მდგომარეობა:** ჩეხეთი – 7, საქართველო, ალბანეთი – 6-6, უკრაინა – 4 ქულა.

**16 ნოემბერს მე-5 ტურში ითამაშებენ:** საქართველო – უკრაინა (ბათუმში), ალბანეთი – ჩეხეთი.

◉ ორიოდე სიტყვით



**თავისუფალი ჭიდაობა**

**პორეჩი (ხორვატეთი).** ვეტერანთა მსოფლიოო ჩემპიონატი. **ოქრო** – ლუკა კურტანიძე (130). **ბრინჯაო** – დავით გელიტაშვილი (88), დავით ტყეშელაშვილი (130).

**გრეპლინგი**

**ასტანა (ყაზახეთი).** მსოფლიოს ჩემპიონატი. **საქართველოს ნაკრები** – 2 ოქრო, 1 ვერცხლი. სპორტის აღნიშნული სახეობა ორთაბრძოლების რამდენიმე დისციპლინის, მათ შორის პანკრატიონისა და ჯიუ ჯიცუს სინთეზს წარმოადგენს და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია **კობა ტყეშელაშვილი.**

**ქვიშის ჭიდაობა**

მსოფლიოს თასის გათამაშების დასკვნითი მე-5 ეტაპი. **მეორე ადგილი** – მამუკა კორძაია. ეს შედეგი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქართველი ფალავანი საერთო ჯამში საპატიო ტიტულს დაუფლებოდა!

**ჭადრაკი**

**თბილისი.** ჩემპიონთა თასის გათამაშება. 70 მონაწილე. საპრიზო ფონდი – 22 000 ლარი. შვეიცარიული სისტემა – 9 ტური. **გამარჯვებულნი.** ქალები – სოფიკო ხუხაშვილი – 5,5 ქულა; კაცები – გიგა ყუფარაძე – 8,5 ქულა.

**ხელბურთი**

**ეროვნული** ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის შედეგები. **პრეზიდენტი** – ვახტანგ მეიფარიანი (მეორე ვადით, 27 ხმა), **ვიცე-პრეზიდენტი** – ლევან სალუქვაძე, **გენერალური მდივანი** – ლევან გელაშვილი.

**რაგბი**

**ნოემბრის** ტესტები და ის მატჩები, რომლებსაც ნიკა ამაშუკელი მოემსახურება. 9 **ნოემბერი:** ინგლისი – ავსტრალია (ასისტენტი). **16 ნოემბერი.** საფრანგეთი – ახალი ზელანდია (მთავარი მსაჯი). **23 ნოემბერი.** იტალია – ახალი ზელანდია (ასისტენტი). **30 ნოემბერი.** ირლანდია – ავსტრალია (ასისტენტი).



**კარატე**

**ვენეცია (იტალია).** მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. ისტორიული პირველი **ბრინჯაო** – ირაკლი სულამანიძე.

**კალათბურთი**

**ესპანეთის ლიგა ენდესა.** ტენერიფე – ბარსელონა 91:95.



**გიორგი შერმადინი** – 19 ქულა (18 წუთში).

**სტრონგმენი**

**მადრიდი. ესპანეთი.** ევროპის არნოლდ კლასიკ ჩემპიონატი.




**ოქრო** – 20 წლის ნიკა ლეკაიძე. ცალკეული მოძრაობები. **ოქრო** – ლაშა ჯოხაძე, **ბრინჯაო** – გიორგი ონიანი.

**ჩოგბურთი**

**ჩინეთის** მასტერსის გამარჯვებულნი. **ქალები** – არინა საბალენკა (ბელარუსი). **კაცები** – იანიკ სინერი (იტალია). მან ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩს 2:0 სძლია და მე-100 ტიტული არ ააღებინა.



◉ კოლეგა

# უკვე – კალმით



**მაინც, რა ადვილია ადამიანის გახარება.**

სვეტიცხოვლობის დღესასწაული იმ ინფორმაციამ გამილამაზა, კალმოსანთა საძმოს ძვირფასი კოლეგით გამდიდრებას რომ მაუწყებდა.

დიახ, ლეგენდარული ეროსის, კოტეს, ჯამლეტისა თუ სხვათა მრავალთა ღირსეული მემკვიდრე **გიგა გვენეტაძე** ამიერიდან სპორტული კომენტატორობის პარალელურად ასევე პროფესიონალის საკადრისი წიგნის – „მიდის სანახავად“! ავტორობით იამაყებს. ვფიქრობთ, მის სათაურს გულშემატკივარი ადვილად დაუკავშირებს ისტორიული ევრო – 2024-ის დაუვიწყარ დღეებში გერმანული ტელერეპორტაჟების გაძღოლის დროს ეკრანიდან საყვარელი ჟურნალისტის მიერ არაერთგზის გაჟღერებულ უკვე საკულტოდ ქცეულ პოპულარულ ფრაზას.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ – გაგრძელება იქნება, ამჯერად კი ისღა დაგვრჩენია, მადლიერებით მოვიხსენიოთ სამაგიდო ნაღვაწის რედაქტორი **გია ტუხაშვილი**, დამკაბადონებელი **მიხეილ ჯაში**, ყდის ავტორი **ანა გვენეტაძე** და თანადგომისთვის – კომპანია **„ლიდერგეთი“**.



# საუკეთესო საჯარო ინფრასტრუქტურა

**ბათუმში, უძრავი ქონების პროექტების ეროვნულ დაჯილდოებას, „FIABCI-Georgia Prix d'EExcellenceAwards 2024"-მ უმასპინძლა. „FIABCI-Georgia Prix d' Excellence Awards 2024"-ის ნომინაციაში – საუკეთესო საჯარო ინფრასტრუქტურა, ბათუმის გმირთა ხეივანმა გაიმარჯვა.**



აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს თორნიკე რიჟვაძეს სპეციალური პრიზი FIABCI-ის მსოფლიო პრეზიდენტმა რამონ რიერამ გადასცა.

საქართველოს უძრავი ქონების საუკეთესო პროექტები ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა. დაჯილდოებაში მონაწილეობა უძრავი ქონების სფეროს 150 წარმომადგენელმა მიიღო.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხვადასხვა კატეგორიაში: საუკეთესო საცხოვრებელი შენობები, სასტუმრო, მრავალფუნქციური კომპლექსი, საკურორტო ზონები, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, მდგრადი განვითარება, ენერგოეფექტურობა და ა.შ.

2023 წლის გამარჯვებული, კატეგორიაში „საუკეთესო საჯარო ინფრასტრუქტურა" – „აჭარაბეთ არენა" გახდა.

# თუშეთის გზა საშიში აღარ იქნება

## თუშეთის გზის ყველაზე სახიფათო მონაკვეთებზე დამცავი კედლები მოეწყობა



**თუშეთის გზაზე საავტომობილო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, კრიტიკულ წერტილებში ზღუდაროვანი ბაგირები, წყალგამტარი მილები და დამცავი კედლები მოეწყობა – ამის შესახებ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი წერეთელმა „რუსთავი 2"-თან ინტერვიუში განაცხადა.**

„ჩვენ ვაკეთებთ 63-კილომეტრიან მონაკვეთს, რომელიც ამ ეტაპზე 8 ლოტად გვაქვს გაყოფილი. აღნიშნული მოიცავს უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებებს, რაც გულისხმობს გზის გაფართოებას იქ, სადაც შესაძლებელია – ზღუდაროვანი ბაგირების მოწყობას მთელ პერიმეტრზე.

აღნიშნული პროექტი ასევე გულისხმობს შესაბამისი ჯებირების მოწყობას, იქ სადაც გაფართოება შეუძლებელია, რათა ორმა სატრანსპორტო საშუალებამ შეძლოს ერთმანეთთან გვერდის ავლა. ასევე ხელოვნური ნაგებობების, მათ შორის წყალგამტარი მილების, დამცავი კედლების მოწყობას.

22-კილომეტრიანი მონაკვეთი იქნება ასფალტის საფარით მოწყობილი, ხოლო დანარჩენი მონაკვეთი იქნება გრუნტოვანი. აღნიშნული გზა იქნება ბევრად უსაფრთხო და დაცული. მთლიანობაში 75 მილიონამდე ლარია გამოყოფილი ამ მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის," – აცხადებს გიორგი წერეთელი.

ამასთან, წერეთელი განმარტავს, თუ რატომ ვერ ხერხდება სრულ მონაკვეთზე გზის გაგანიერება. არსებულ ფერდებზე ხელოვნურმა ჩარევამ შესაძლებელია უკუშედეგი გამოიწვიოს.

„ძალიან რომ შევეხოთ ფერდებს და გაგანიერება გავაკეთოთ, სადაც სერპანტინებია, შეიძლება უკუშედეგი მივიღოთ. ამიტომ, ვმოქმედებთ ძალიან ფრთხილად ისე, რომ ნაკლები შემხებლობა გვქონდეს ფერდებთან.

ამ პროექტის დასრულება 2026 წელს იგეგმება. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე წელიწადში მხოლოდ 5 თვე გვიწევს მუშაობა. წელს ჩვენ ისე ვიმუშავეთ, რომ აქ ჩვენ რეალურად გზები დაკეტილი არ გვქონია – გარკვეული პერიოდულობით გვქონდა ავტოტრანსპორტის გადაადგილება შეზღუდული. ვცდილობთ, რომ სრულად არ მოხდეს გზის დაკეტვა ტურისტულ სეზონზე ჩვენი სურვილია, მაქსიმალურად მოვერგოთ დროს და ხელი შევუწყოთ ტურისტების შეუფერხებელ მიმოსვლას," – აცხადებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი წერეთელი.

# ტერორისტი ინასარიძე დაუსწრებლად „დაკავებულია", ძებნა გრძელდება!

## ყირიმის ხიდის აფეთქების საქმეზე რუსეთმა საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეებზე ძებნა გამოაცხადა

**რუსმა გამომძიებლებმა საერთაშორისო ძებნაში გამოაცხადეს საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე ინასარიძე და უკრაინის მოქალაქე სერგეი ანდრეიჩენკო, რომლებსაც რუსეთის უშიშროების ძალები 2022 წლის ოქტომბერში ქერჩის ხიდის დაბომბვაში მონაწილეებად მიიჩნევენ, – ინფორმაციას რუსული მედია ბრალდებულების საქმის მასალებზე დაყრდნობით ავრცელებს.**



მათივე ცნობით, საქართველოს და უკრაინის მოქალაქეებს ბრალი „ტერორიზმში" და ასაფეთქებელი ნივთიერების შეძენასა და კონტრაბანდაში ედებათ.

ამასთან, როგორც გამოცემა TASS აღნიშნავს, ადრე მოსკოვის სასამართლომ ამ საქმეზე **ინასარიძე დაუსწრებლად „დააკავა".** ამასთან, ბრალდებულის ადვოკატმა სასამართლოში განაცხადა, რომ მისი მონაწილეობა იმ დანაშაულის ჩადენაში, რაშიც ინასარიძეს ედება ბრალი, სათანადოდ არ არის დადგენილი და მისი მონაწილეობის მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი.

შეგახსენებთ, 2022 წლის 8 ოქტომბერს ყირიმის ხიდზე სატვირთო მანქანა ააფეთქეს. დაიღუპა ოთხი ადამიანი, ჩამოინგრა ყირიმისკენ მიმავალი ხიდის საავტომობილო ნაწილის ორი ზოლი.

# ძალადობა 16 წლის ქართველზე

**თურქული მედიის ინფორმაციით, ანტალიაში 16 წლის ქართველ გოგოზე მეზობელმა სექსუალურად იძალადა. როგორც მედია წერს, მოზარდი შშმ პირია, ძალადობაში ბრალდებული კი დაკავებულია.**

მეზობელი კაცი ქართველების ოჯახში ელექტროობის შესაკეთებლად მივიდა. მაკაცმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი თავის სამუშაო სივრცეში წაიყვანა და იძალადა. ეს ძალადობის პირველი შემთხვევა არ ყოფილა. გოგონას გადმოცემის პრობლემა ჰქონდა და მას შემდეგ, როგორც კი მომხდარის შესახებ ოჯახმა გაიგო, სამართალდამცველებს მიმართა.


# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **ქ. რუსთავში სს „რუსთავის აზოტის" ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 4 ნოემბერი, 12:00 საათი, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია (მის.: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი N20).**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 7 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.



# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ნანა ქებაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანა ქებაძე (პ/ნ 47001002119), ახალციხე, ს. აწყური

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ყაზბეგი, გორისციხეს ადმ. ერთეული, კვარტალი 13, ნაკვეთი 929 (საკადასტრო კოდი: 74.04.13.929)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 10000 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 16 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 28 ოქტომბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP102575424;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1025754

6. **მოვალე:** ნანა ქებაძე (პ/ნ 47001002119), ახალციხე, ს. აწყური;
გივი ქებაძე (პ/ნ 47001039704), ახალციხე, ს. აწყური
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP102575424; ლოტის ნომერი: 1025754).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 28 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

# „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!“



**გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფია უაღრესად საინტერესო და, ამავე დროს, მრავალფეროვანია. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელშიც სწავლობდა და საარტილერიო სკოლაშიც; პოეტიც იყო და გენერალიც; 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დაპატიმრებულიც და რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში გამოჩენილი სიმამაცისთვის იმპერიის უმაღლესი ორდენებითა თუ წოდებებით დაჯილდოებულიც. ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ერთხანს კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობასაც კი ასრულებდა.**

გაორებულია გრიგოლ ორბელიანის მიმართ მომდევნო თაობების გამოჩენილ წარმომადგენელთა დამოკიდებულებაც. კონსტანტინე გამსახურდია **„იმდროინდელი საქართველოს უდიდეს პოეტს“** უწოდებდა და, იმავდროულად, შამილის წინააღმდეგ ბრძოლის გამო მკაცრად აკრიტიკებდა. არსებითად, იგივე ქვეტექსტი იკითხება მურმან ლებანიძის სტრიქონში: **„ორბელიანის ღენერლობაც გვახსოვს, გრიგოლის“...**

ყველაზე საინტერესო კი ილია ჭავჭავაძის აზრი და დამოკიდებულებაა. „მამათა და შვილთა“ ცნობილ ბრძოლაში ისინი უკიდურესად დაპირისპირებულნი იყვნენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ილიას გრიგოლ ორბელიანის ღვაწლის შეფასებაში. ამის დასტურია სიტყვა, რომელიც მან გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე წარმოთქვა.

**„მშვიდობით, ჩვენო სასიქადულო მამულის-შვილო, ჩვენო სახელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო,“** – ამ სიტყვებით გამოეთხოვა ილია გრიგოლ ორბელიანს.

და, მართლაც, რაგინდ მრავალი წელი და საუკუნეც გავიდეს, ქართველი კაცი გულგრილად ვერასოდეს წაიკითხავს თუ მოისმენს გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელოს“, დიდებულ ლექსს – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გამომხატველ სტრიქონს: „სხვა საქართველო სად არი“?.. ვერასოდეს დაივიწყებს მის გაფრთხილებას: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“...

დღეს სიმბოლურად და ახდენილადაც კი ჟღერს გრიგოლ ორბელიანის ნატვრა: **„შენი ივერი აღდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“...**

## თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში



შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული
გემთხვევი ფერხთა!

მიხარის – გიმზერ,
ვჰსწუხვარ – და გიმზერ,
და ესრეთ მზერა
მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..

✦ ✦ ✦ ✦ ✦ ✦

და, ვით განვლილსა
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავჰსწყდეთ
ცის შემრისხავნი!

ხნით დამაშვრალი,
დაღონებული,
შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედკრულს
შენს სატრფოს – მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად.

შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლო მიწის სიყვარულითა! –
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავაც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა.

✦ ✦ ✦ ✦ ✦ ✦

დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუთუ ესღა გვაქვს, ვჰხედავთ
რასაცა?
დაყრუებულსა,
გზა შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
სჩანს ძველს კედელზე
გამოხატულად!..

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7263; ევრო - 2.9804;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5600;**
**100 რუბლი - 2.8367; თურქული ლირა - 0.0795;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6033;**
**1000 სომხური დრამი - 7.0378.**

# „მარტოობის ასი წელიწადი“ დიდ ეკრანზე

**გაბრიელ გარსია მარკესის რომანი, რომელიც 1967 წელს გამოიცა და 40-ზე მეტ ენაზე ითარგმნა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტია, რომლის 50 მილიონზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული.**

როგორც სერიალის ავტორები, ლორა მორა და ალექს გარსია ლოპესი, აცხადებენ, ლათინური ამერიკის ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური აუდიოვიზუალური პროექტია. აღსანიშნავია, რომ სერიალის გადაღებები მთლიანად კოლუმბიაში მიმდინარეობს.

**„ამ პროექტის რეჟისორობა გამოწვევაც იყო და თავგადასავალიც. სიუჟეტი ამას ნამდვილად იმსახურებს“,** – განაცხადა რეჟისორმა **ალექს გარსია ლოპესმა.**

**ლორა მორამ,** რომელიც მე-4, მე-5 და მე-6 ეპიზოდების გადაღებას ხელმძღვანელობდა, აღნიშნა, – **„როგორც კინორეჟისორისთვის და როგორც კოლუმბიელისთვის, ამ რთულ პროექტზე მუშაობა ჩემთვის პატივიც იყო და დიდი გამოწვევაც. ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა, იმუშაო ისეთი რომანის ადაპტაციაზე, როგორიც მარკესის „მარტოობის ასი წელიწადია“. ყოველთვის ვცდილობთ, გავიგოთ განსხვავება ლიტერატურულ და აუდიოვიზუალურ**




**ენებს შორის და შევქმნათ კადრები, რომლებიც ასახავს ნაწარმოების სილამაზეს, მის პოეტურობასა და სიღრმეს. ჩვენ ეს შევძელით ამ რომანის დიდი სიყვარულით და განსაკუთრებული ტექნიკური და სამსახიობო გუნდის საშუალებითა და მხარდაჭერით“.**

**ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაში აუცილებელია გარისკო იმისთვის, რომ აზრი მივცეთ იმას, რასაც ვაკეთებთ. „მარტოობის ასი წელიწადის“ გადაღების პროცესში, ჩემი განზრახვა იყო, შემექმნა რაღაც ავთენტიკური, საერთაშორისო დონისა და მაღალი სტანდარტის პროდუქტი, რადგან**

# მეცნიერებმა ქრისტეფორე კოლუმბის წარმოშობა დაადგინეს



**ესპანელმა მეცნიერებმა ლეგენდარული მეზღვაურის ქრისტეფორე კოლუმბის ნეშტი შეისწავლეს და მისი წარმოშობა დაადგინეს.**

**BBC**-ს ცნობით, კვლევა გრანადის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს და გენეტიკური მასალის შესწავლისას დაადგინეს, რომ კოლუმბი სავარაუდოდ ესპანელი და ებრაელი იყო. მათივე ვარაუდით, ის დასავლეთ ევროპაში დაიბადა, შესაძლოა ვალენსიაში. მეცნიერები ფიქრობენ, რომ კოლუმბი თავის ებრაულ წარმოშობას მალავდა ან კათოლიკედ მოინათლა, რათა რელიგიური დევნისთვის დაეღწია თავი.

ბოლო კვლევა ეწინააღმდეგება ტრადიციულ თეორიას, რომლის მიხედვითაც კოლუმბი გენუაში დაბადებული იტალიელი იყო.

ქრისტეფორე კოლუმბი სევილიის ტაძარშია დაკრძალული. მკვლევრებმა ასევე შეადარეს თავისი დნმ-ი მის ვაჟისა და ძმის გენეტიკურ მასალას, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სევილიაში სწორედ დიდი მეზღვაურის ნეშტია დასვენებული.

კოლუმბის მოგზაურობამ ატლანტის ოკეანეში 1492 წელს მსოფლიო ისტორიის მსვლელობა შეცვალა, სწორედ მან აღმოაჩინა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა.

# საჰარის უდაბნო ნაწილობრივ დაიტბორა, არიან დაღუპულები!

**სამხრეთ-აღმოსავლეთ მაროკოში ორ დღეში დიდი რაოდენობის ნალექის გამო, აივსო ტბა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მშრალი იყო, – ამის შესახებ ტჰეგუარდიან-ი წერს.**

გამოცემა აღნიშნავს, რომ საჰარა ერთ-ერთი ყველაზე მშრალი ადგილია დედამიწაზე, მაგრამ წვიმა წლის ამ დროს განსაკუთრებით იშვიათია. €გშგ-ს სატელიტურმა სურათებმა აჩვენა, რომ ირიკის ტბა, ტბის კალაპოტი ზაგორასა და ტატას შორის, რომელიც 50



წლის განმავლობაში მშრალი იყო, წყლით გაივსო.

გამოცემა იუწყება, რომ გასულ თვეს, მაროკოში და ალჟირში წყალდიდობის შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა. ნალექმა ფერმერების ნათესებიც დააზიანა.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 18 ოქტომბერს